

„ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପାଠ୍ୟକାଳୀ

# ପିଥୁରୁଷ ଲେଖା

ମୃତ୍ୟୁ ପାଠକର୍ତ୍ତା ପାଠ୍ୟକାଳୀ

ପ୍ରମାଣିତ ପାଠକର୍ତ୍ତା

୧. ପାଠ୍ୟକାଳୀ

ପ୍ରମାଣିତ 1890 ଫ.

ପାଠକର୍ତ୍ତା ପାଠ୍ୟକାଳୀ ପାଠକର୍ତ୍ତା ପାଠକର୍ତ୍ତା



7. 200

„საქონი“ საფრენი გამოცემა

# ქეგლის ღვგა

მეუკა გიორგი ბრწყინვალესი

9846

თურილიული მონოგრაფია

ნ. უჩემედოსა.



ტერმინი. 1890 წ.

საქონის დაცვული სასახლის სამსახურის მიერ გამოცემა

Доз. Ценз. Тиф. 17 Февраля 1890 года.

*P. 82*

მეუკე გიორგი ბრწყინვალე შესანიშ-  
ნავია, სხვათა შორის, ლვაჩილით, რო-  
მელიც დახდო ჩვენს სჯულ-მდებლო-  
ბას. მეუკემ არა თუ მარტო გაანთავი-  
სუფლა საქართველო მონვოლებისა-  
გან, არამედ სამშობლოც განაახლა,  
წესი და რიგი აღადგინა, ხალხს ახა-  
ლი სჯული ძისკა. ჩვენის ისტორიისა-  
და სჯულ-მდებლობის მკელევარისა-  
თუის ექლა შეურჩეველ კეშმარიტებად  
უნდა ჩი:ითვალის, რომ ბრწყინვალე  
მეუკემ საერთო სჯული დაუდგინა  
შთელს თავის ხაშეფოს, რომელიც  
იმის დროს დიდი ადგილი ეჭირა, შა-  
ვის ზღვიდაშ კასპიის ზღვამდე. სამწუ-  
ხაროდ, დროთა და ფამთა ბრუნეის  
გამო, იყი საერთო სჯული დაიკარ-  
გა და კერ-ჯერობით ეკრისად უპოვ-  
ნით, მუქთალს ბედს გადარჩა მხო-  
ლოდ ქუცავის დენა, — მთიულების სჯუ-

ლი, რომელიც მეტად საყურადღებო  
უნდა იყოს უკელასთვის, ვთაც კი ჩემ-  
ნი წარსული უკვარს და მის შესწავ-  
ლას მისდევს.

პირელადე საჭიროა შეცნიშნოთ,  
რომ ძეგლის დება მთელის მთიულე-  
თის სჯულს არ შეადგინს, იგი რო-  
ლი შეეხება საზოგადოდ უკელა მთი-  
ულების იურიდიკულს ცხოვრებას, არა,  
— ძეგლის დების საბძანებელი ვიწრო და  
მცირე ადგილს შეიცავდა, ქსნისა და  
არაგვის რამდენსამე ხეობას და მეტს  
არაფერს. მაინც ძეგლადე კავკასიო-  
ნის უკელა ხეობას და პაწია ადგილს  
თავისი ადათი და ჩვეულება ჰქონდა, —  
იქ თითოეულს თემს, საზოგადოებას,  
სოფელსაც-კი საკუთარი აფილო-  
ბრივი ადათი მოეპოვებათ, ჩვეულე-  
ბანი ერთბანეთისაგან განსხვავებული  
და განაცალკევებულია"). ამ გზას არც

---

1) Проф. Леонтиевичъ, „Адаты Кавказ-  
скихъ горцевъ“, выпускъ 1, стр. 24—  
25.

ჩეენი მთლიულეთი ასცდა. აქაც თითა  
ქმის ყველა ხეობაში საკუთარი აღა-  
თი არაებობს და მოქმედობს, თუმცა  
ჩველა კერძო აღათს საზოგადო ხა-  
სიათიც ამჩნევია და საერთო ღერი  
სძევს. მეგდის დებარ სწორედ რამდე-  
ნისამე თემისა და ხეობის სჯული იყო,  
მაგრამ ამ სჯულს მანაც ცხადად და-  
კრიულ ჩეენის მთავრულეთის სახლებადო  
ზე-ჩეენულებათა ბეჭედი. მეტო არ იქ-  
მნება ისიც აღენიშვილთ, რომ თვით  
სახელმწიფოც თითქო ხელს უწყობ-  
დათ ადგილობრივს აღათს და ამი-  
ტომაც ზოგიერთს შემთხვევაში სა-  
კუთარი უფლება ჰქონდათ მინიჭებუ-  
ლი ქსნის ხეველებს და არაგვის ერის-  
თავის კაცებს,). დად, ძლევა-მოსილ-  
მა მეუემ საკუთარი სჯული დაუდო  
ქსნის ხეველებს და არაგველებს, —

.) მაგალითებრ, როცა პატიო სადიამდე-  
როდ წამრიანდებოდა, ი. „დასტურლამი-  
ლი“, 3. უმიგაშვილის გამოცემა, გვ. 85,  
1, § 180.

„ჯვართა ყელს აქვთ, ზადაცხოტს, ზან-  
დუყის ხეეს, კიბეთ, ქვეშეთ და მენე-  
სოს ხემოდ ეს განაჩენი დავდევითი „...  
შართალია, მთლიად ეს ხეობები პატა-  
რა აფერილია, მაგრამ ძეგლის დასა დი-  
ღის ყურადღების ღირსია, დიდ-მნიშვ-  
ნელოვანი ნაშთია. ძეგლის სჯულ-  
მდებლობისა, რადვანაც ნათელს ჰუნი  
ჩვენის წარსულის წყვდიადა და ცხო-  
ვლად გვიჩატავს შორეულს სურათს,  
რომელიც ბევრად აწინდელსაც შია-  
ვავს.

შეიღოდ საჭიროება და ცხოვრე-  
ბის მოთხოვნილება ჰშადავს სჯულ-  
მდებლობას. ეს საზოგადო მოცლენაა.  
საქართველოშიც სწორედ ასე იყო-  
ამას ჩვენის სჯულ-მდებლობის ისტო-  
რია ამტკიცებს. მეფე გიორგი ბრწყინ-  
ვალებიც საჭიროებისა გამოა დასდო-  
თავისი ქებული: „ყალ სამართალი ალარ  
იყო-ლა... ალარ იქნებოდა განაჩენ  
დაუდებლობაო“, ასე ბძინებს ქეცდის  
მდებელი. წინასიტყვაობაში ერცლად  
მოხსენებულია, მთაშო რა უწესოება

და უსამართლობაც არსებობდა და  
ნიშნობლივ რისთვის იყო საჭირო „გა-  
ნახენის დებულობა“.

მეგლას დება ერთაუ-ერთი მაგალი-  
თი როდია მაიულების აღათის აღ-  
წერისა. თუ ჩვენ ში არა, სწავან მა-  
ინც, ამ თუნდა დაღესტანში, ჯერ  
ისეე მეოქოთმეტე და მეოთომეტე საუ-  
კუნცს ომარ-ხანმა და როსტომ-ხანმა  
აღწერეს და კალკი კრებულად შეადგი-  
ნეს ლეკების საადათო ჩევულებანი<sup>3)</sup>.  
თუ სავანსა და შინაარსს დაუკურ-  
დებით და ამ მხრიց შეცალარებრ ერ-  
თმანეთს, მაშინ ჩვენი ძეგლის დება  
როსტომხანის კრებულს მაგვავონებს  
და ვინ იცის, იქმნება მეცვე მე-  
ზობლების ბაძითაც ნელმძღვანელობ-  
და, როცა თავის მთიულებს კერძო  
სჯული დაუდო...

ძეგლის დება სამოქალაქო ანუ  
საერო სჯულს შეადგენს, „სოფლიო“

<sup>3)</sup> Адаты Кавказа, Горицевъ, I. в. стр.  
42—45.

კანონია — „ჩვენ სოფლიოსა ამისი  
სისხლი, პატივი და სასაქმო გაფვიჩე-  
ნიათ“, და ამიტომ არ შეეხება საფ-  
კულებით და სასულიეროს ხაქმეებს. ამ  
ხაქმეებს განავებდნენ კათალიკოზი და  
ეპისკოპოზი და იქ, სადაც ძეგლის  
დებას სასიხლო და სამოქალაქო სა-  
მართალი ებარა, „სხვა, რაც სასჯუ-  
ლო ხაკითხევი იყოს, კათალიკოზს და  
ეპისკოპოზებს ჰქითხონო“... ეს გან-  
ცალკევება სამოქალაქო და საეკკლე-  
სიო საქმეებისა ახალს არაფერს წარ-  
მოადგენს, რადგანაც სულ ძევლადვე  
სასულიერო წოდებას განსაკუთრე-  
ბული ადვილი ეჭირა სამეფოში, თა-  
ვისი მშართველობა. ჰქონდა, თავისი  
კანონი, სამართალი <sup>1)</sup>). როცა მეცვე  
გიორგი ბრწყინვალებ ურჩი მთიულე-  
თი „დაუპყრო ტაზტა და სკოპტრასა“,  
ადგილობრივი საეკკლესიო გამგეობაც

1) სასულიერო წოდების მოწყობილობა-  
ზედ ინდუ პრისტ პრისტ Introduction, § 6 Cle-  
rge, CIX etc.

საზოგადო სახელმწიფო წესია და  
რიგზედ მოაწყო. ეს მოწყობა ხოვ  
თხოვულობდა სასულიერო წოდებას  
თავისი უფლება არ ჩამორთმეოდა.  
ამიტომ, თუმცა მეტად მოკლედ, მა-  
გრამ ქედის დებამ შინუ ცხადად გა-  
მოსთვის, რა ეცუთვის და ეკითხის  
საერთ სჯლის და რა — ხაეცკლესიოს.

რასაკვარელია, ძეგლი ვრცლად პხა-  
ტავს მოიულების შინაგანს წეს-წყო-  
ბილებას, ევრედ წოდებულს ადმინის-  
ტრატულ მმართველობას. ფრიად საინ-  
ტერესოა საკოდნელად ეს მმართვე-  
ლობა, რადგანაც, სხვათა შემთხვე,  
მოვცავონებს ჩეენს სახელმწიფოს ხა-  
ზოგადო ცხოვრებასაც. თქვენ პირ-  
ელ შეხელვაზედვე ჰერიძნობთ, რომ  
სახელოვანმა „ხუროთ - მოძღვარშა“  
(ასე უწოდებს ჩეენი მატიანე შეფე-  
ვიორიგი ბრწყინვალეს) მართლაც და  
ხელოვნებით აავრ ადმინისტრატიული  
შენობა, რომელშიაც ლალი მოიული  
შეუციწროებლად მოთავსდა თავისის  
ჩეუულებით. შეიძლება იფიქროთ

კილეც, რომ ეს შენობა რთულია და  
სულს შეუძლება თავისუფალს მთა-  
ჭრასათ, მავრაზ ასე როდი იყო: სა-  
ხელმწიფო შონელეებთან ერთად ხალხს  
ჰპატრონობდნენ საკუთარი ალგოლობ-  
რიები მოწესენიც და თვით შმართვე-  
ლობა ხომ ისე იყო მოწყობილი, რომ  
სახელმწიფო და თემი ერთმანეთს არ  
სჭარბობდნენ, არა რა აედნენ. მეგდის  
დების ვაძგეობის ღორსებაც იმაშია,  
რომ მთაულის თვით შმართველობას  
და სათემო თავისუფლებას არა მოაკ-  
ლონ-რა, მხოლოდ თემი და სახელმწი-  
ფო დაკაც შირა, ერთმანეთს დაუმორჩი-  
ლა.

შმართველობა ებარათ უფროსსა და  
უმკროსს მოზელეებს. ძეგლის დებაში მო-  
ხელენი მთელს ჯგუფს წარმოადგენენ;  
მთელი დასი იერარქიულად მოწყობი-  
ლია, — ერთი მოწესე შეორეს ემორ-  
ჩილება, მეორე შესამეს და სხ. სამწუ-  
ხაროდ, ვანმარტებული არ არის, რა  
უფლება და მოვალეობა ეპურა თი-  
ონეულს მოზელეს, რა ეკითხოდა,

რაზეც მიუწვდებოდა ხელი და რაზეც  
არა. ჩვენ ეს ნაკლი ცოტა მაინც უნ-  
და შევავსოთ, ცოტად იმიტომ-რომ  
მასალა ნაკლებად მოგვეპოვება.

## II

აღვალობრივ მოხელეებში პირვე-  
ლი პირი ერთისთავია. აქაც ერთისთავ-  
ბას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც  
სახოგადო ხახელმწიფოში - ჰქონდა  
პირველად ერთისთაობა უმაღლესი გა-  
მვეობაა, შეორედ წოდებრივს ღირ-  
სებას ნიშნავს <sup>6</sup>). ძევლის საქართველო-  
ში როდი იყო განსაზღვრული, თი-  
თოვეულს მოხელეს ( ხელის - უფალს )  
ნიშნობრივ რა მოვალეობა და უფ-  
ლება ჰქონდა. თუ მუდმივ არა, ხში-  
რად მაინც ერთსა და იმავე მოწესეს

<sup>6)</sup> პრისტეს Introduction, p. LXXX. ერთ-  
თავი შევის ასაკია და უმაღლესი  
აღმნისტრატორი შეართველობს აპარატი:  
ამასთანავე იგი დოდებულია, მისი სისხლი  
უგელა წოდების კაცის სისხლი აღმატება,  
ვაჟტ. სამართლი, მუხ. კა; აღვ.

ხელი მიუწვევებოდა მრავალ გვარ სა-  
ქმენედ. მართალია, სახელმწიფო სკლი-  
ლობდა განესაზღვრა და განეცალკე-  
ვებინა ერთმანეთისაუან სხვა-და-სხვა  
უწყება (բავშვის იუსტიცია), მაგ-  
რამ ცდამ ამაռც ჩაიარა. საქართვე-  
ლოს თეით-შუოფელობა ისე მოისპო,  
რომ სახელმწიფომ თავის წადილს უერ  
მიაღწია, იმიტომ-რომ ამ წადილს  
წინ ეღობებოდა შინ ფეოდალობა და  
გარედ კიდევ უცხოს ბატონობა. ერ-  
თიც და მეორეც ძრიელ აბრკოლებდა  
ჩვენს პოლიტიკურს განვითარებას.  
ერისთაობაც როდია დამთავრებული  
და განსაზღვრული სამმართველო და-  
წესებულება. ერისთავი ყველა , ბან-  
დეპა, ყველაფერი ეყითხვის, მის ხელთ  
ყველაა; რაც კი კეთდება საერისთო ში,  
მის დაუკითხავად არა კეთდება, საერის-  
თაოს ბატონიც არის და პატრინიც-  
კერძოდ, ძეგლის დების სიტყვით,  
ერისთავს პირდაპირი დამოკიდებულება  
აქვთ სახელმწიფო საბჭოსთან, ეჭრელ  
წოდებულ ფარბაზონ, რომელიც უმა-

ლლებს დაწესებულებას წარმოადგენს. რაც კი რამე საღარბაზოდ მოსახსენებელია, პარეელიდ ერისთავება უნდა მოახსენოს: „ერისთავებან დარბაზს ჰკალროს“... (ძ.-დ. მუხ. ე და სხ.). მაგრამ მაინც ერისთავი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდა აღმინისტრატორულს მმართველობას და ამინტომ მის მოვალეობას უფრო ეს მმართველობა შეადგენდა.

ერისთავის მარჯვენა ხელიდ გამგებელი უნდა ჩაითვალოს. უკეთის-დებაში გამგებელი ერისთავს გეერლით უდგია, თუმცა-კი იმის სწორი არ არის და შორს სდგას იმის ლირსებანედ. ეს მარჯვენა ხელი თავისის უფროსის მოადგილეა და ხალხთან ახლო დამოკიდებულება აქვს. გამგებელი ყველაფერს ერისთავის სახელით განაცემს; მას დალევს პასუხს, ანგარიშს. მხოლოდ ამ ორთ შეეძლოთ დაუტლება ჰქონდათ საჭმე „დარბაზს ჰკალროს“, რომელსამე დიდ დამნაშავეს შემწეობა მისუნ და სახელმწიფო-

თუ საბჭოსთან შეუამდგომელობა გა-  
უწიონ (ძ.-ლ. მუხ. ზ, თ). რადგანაც  
ლირსებით გამვებელი დაბლი იდება  
თავის უფროსზედ; ამიტომ გამგებლად  
უნდა ყოფილიყო მსახური და ახნა-  
ურიშვილი (იქეე, მუხ. ბ, დ). გამგე-  
ბელისაც ყველაფერზედ ხელი მოუწვე-  
დებოდა,—არა თუ კერძოდ მთართვე-  
ლობა, გამუშავის ებარა, არამედ სა-  
მაედრო და სამართლის საქმეც. იგი  
თავისის უფლებითა და მოვალეობით  
სრულიად მიაგავს ერისთავს, თუმცა  
იმისი ხელქეცითია.

საკუთრიად იხსენიება შოთავავი, რო-  
მელიც დარბაზს არაფერს „ჰერ-  
იებს“, მაგრამ იმის ბძანებას-კი ასრუ-  
ლებს,— „მოურავთა პირითა მამული  
ებოძოსო“ (ძ.-ლ. მუხ. ზ). პაშა-  
სადამე, მოურავი ბძანების აღმსრულე-  
ბელია და, ამას გარდა, თუ ზარტო ძე-  
გლისდებას დაეცმარეთ, მოურავს არა  
ეკითხოდა-რა, შავრამ ასე როდი იყო;  
მოურავს მრავალ გვარი მოვალეობა  
ეპურა და ამისდა გვარად თეთი მოურა-

ეობაც სხვა-და ხხეა ნაირი იყო. ჯერ ერთი ესა, რომ მოურავი ხანდახან ჯარის კაცად ითევს ებოდა და ციხე-სიმაგრეენი ებარა („ციხეთა მოურავი“<sup>6</sup>). წოვევრ სევის-თაობაზა ჭირდა, მაგ., ს. ატენში— „ჩეების თაობა მოურავისა არის“<sup>7</sup>). სევის თავის უმთავრესს მოვალეობას ბჟობა და სამართალი შეადგენდა, და რადგანაც ასე იყო, თუთ მოურავსაც სამართალი ეკითხოდა. როდესაც მთავარ-შეაჯული, მდივანზე ღიფილისში არ იყო, მოურავი ახრულებდა იმის მოვალეობას. მაგრამ მღიერანზევის ყოფნის დროსაც, თუ სატახტო ქალაქში თრი სოფლის კაცი ერთმანეთს უჩინდა, ხაქვე და საჩიუარი მოურავს უნდა განებჟო<sup>8</sup>). ყველა ეს კიდევ არაფერი. მოურავი მართველობის წევრიც არის, პოლიციის მოხელეა და სამსახურით მაღლა ხდებას ნაცვალ-

<sup>6</sup>) Двор. Грам., стр. 43.

<sup>7</sup>) დასტურლამალი, 1. § 18.

<sup>8</sup>) ძევა, §§ 24, 57, 201.

სა და მამასახლისწერა. ამ სამსახურის  
სათვის მოურავს სოფლისაგან ეძლეო-  
და, სხვათა შორის, ჯარიმა ბოზო-  
ბას ქმნისათვის, თავის გასამტკიცდო,  
გასამყრელი<sup>9</sup>). მაგრამ საჭმე იმა შია,  
რომ ჩ'მირად მოურავი მოედნს. მან-  
რას შმარითავდა (ზაგ., ქიზიუის მოუ-  
რავი ანდრონიკაშვილი; ჩოლოყაშვი-  
ლებს ჰქონდათ ნაბოძები თუ შ.-ფ. შა-  
ვის მოურავობა და ს.). მავასადაცე,  
მოურავის უფლება და მოვალეობაც  
მრავალ გეარი იყო, მოურავს სხვა-  
და-სხვა საჭმე ებარი, მისი საბძანებე-  
ლი ხან მცირდებოდა და ხან ფარ-  
თოედებოდა<sup>10</sup>). აქ საჭიროა აღნი-  
შნოთ, რომ საეკულესით გამკეობას თა-

<sup>9</sup>) იქვე, §§ 15, 24 II § 23.

<sup>10</sup>) დასტურდამალის გამომცემელის, პ-ნს  
3. უმიერცვილს, მარტო სიტუაციის თამაშობა  
მოსდის, როცა ამბობს: „მოურავი გამგებე-  
ლია, მმართველი რომლისამე ადგილ-მაზ-  
რასაო”, გვ. 178. ეს ხომ უგვიანა ხელის-  
უფალზე და თვისის, რადგანც უკალა გამგე-  
ბელიც უკალა და მმართველიც!

უის დაბა-სოფლებში საკუთარი მოურა-  
ვები ჰყავდა, ნაცეპლა და მამასახლისს  
გარდა <sup>11)</sup>), მაგრამ საეკულესიო მოუ-  
რავს ძეგლის-დება არ იხსენიებს. თუ  
ჩვენი განმარტება მოურაობისა საფუ-  
ძლობენია, მაგრა მთიულევთის მოურა-  
ვიც მარტო დარბაზის ბძანების აღმა-  
სრულებელი არ უნდა ყოფილიყო და  
უგონებთ, არც იყო...

ერცელს ადმინისტრატიულს შენო-  
ბაში ეგრედ-წოდებულს სეკის-თავსაჩ  
საკუთარი ადგილი ეჭირა, თუმცა-კი  
ძეგლის-დება დაკვრით იხსენიებს ავ  
ხელის-უფალს და არ გვიჩვენებს, ხა-  
ხელდობრ რას შეადგენდა სეკის-თავი-  
ბა. ხიტყვის მიზანელობისავან - კი  
სჩანს, რომ ხეეის თავი უფროსი იყო  
მთელის ხევისა. მართალია, ხეობა  
პატარა ადგილია, მაგრავ ხევის-თაო-  
ბა-კი მეტად საპატიო სამსახურად  
ითელებოდა. ამიტომ მეფეები ხევის-  
თაობას უბოძებდნენ დიდის ლირსების

11) დასტურდამდება, 1. § 56.

ხელის-უფალის, ორგორიც ბოქაულთ-  
უშუცესი იყო, თუ არა-და, ორმელსამდე  
წარჩინებულს ეყოლალს, მაგალითებრ  
ფარსალარ მაჩაბელს <sup>12</sup>). ხევის-თავის  
პირდაპირი მოვალეობა მსაჯულობა  
იყო. წელიწადში ერთხელ მაინც უნ-  
და შემოედოთ თავისი ხევი. გაიყო-  
ლებდა მუშაობის (შწერალს), ათს ცხვა-  
ნიან კაცს და თითო სოჭელს ცალკ-  
ცალკე დაიყვლიდა. საღაც-კი მიერთო-  
და, კველა კომლს ძლევნი უნდა მიე-  
ტანა. ხევის-თავი კიდევ ერთის ხოვ-  
ლიდვან მეორეში მიღიოდა, ქურდებს  
ხდევნიდა, მათ გზა-კვალს დაეძებდა.  
თავის გახამრიჯელოში, მაღიანს ძლევნს  
გარდა, ჯარიშიდვან ნაწილი ეძლეო-  
და, „საპეკის-თავი“ <sup>13</sup>). რაკი ხევის-  
თავის პირველს მოვალეობას მსაჯუ-  
ლობა შეაღვენდა, ამიტომ იგი იყრიარ-  
ქიულად მსაჭულთ-უსაფერისი, მდივან-  
ხევის ხელ-ქვეითი იყო <sup>14</sup>). ძეელს სი-

12) Двор. Грам., стр. 18, 24.

13) დასტურდამალი, 1. №№ 65, 220.

14) ქვე, გვ. 176.

გელებში მოხსენებულია, რომ ამ მოხელეს სინა რამეც ეკათხებოდა: ჩაფაჯურ ხევის თაქი წარჩხსაც ჰკრეფაუდადა ხკელის ნაწილს აბარებდა სამხახურის კაცებს ა.).

გარკვევით ნაჩერჩებია ვინ იყო დარა იყო სეკის-ბეჭი, მექლის ხილუკი, ხევის-ბერი თითომ ხომ ჯარის-კაცით, მაგრამ მოხლის ხევის კლაშერის სურასხმაც ნაბოძები აქვთ დარბაზით, — «ხევის-ბერის დარბაზით ლაშქარით თავადობაც პბოძებია» (ძ. ღ. მუხ. ი). „ლაშქარით თავადის ბრეიის“, რახაკვირჩელია, საჭირო იყო ციხე და ჰქონდა კიდეც (ძ.-ღ. მუხ. ე), რომლის ჩამორთმება დარბაზს შეეძლო და ისიც დანაშაულობისათვის. საყურადღილობრივია, რომ ამ ლაშქრის უფროსის და მედირ-შეს, რომლის ფიქრი და მოვალეობა ბრძოლის უდის დასტურია-ლებდა, ქურდობის საქმეი ებარა ტვიშაშნალ-მე სისხლის ხამართალიც კურ-

ხოლა (იქვე, შუბ. მე). ღირსებით, ეგ-  
რე წოდებულის „სისხლის დენით”,  
ხევის ბერით მოსამსახურიერამვებლის  
თანასწორია, ერთი და ოფიცი სისხლი  
ეურეებათ (შუბ. ვ, ტ), თუმცა-კი ხე-  
ვის-ბერად ამორჩევა, ერთისთავს ვარ-  
და, გამგებელზედაც იყო დამოკიდე-  
ბული (უეჭველია, გამგებელ აზნაურ-  
შეილზელ), ასე რომ ერთისთავი და  
გამგებელი ვისაც უჩვენებდნენ საიმე-  
ლო კაცად, დარბაზიც იმას უბოძებ-  
და ხევის-ბერობას. მაგრამ ამორჩევა  
იმას როდი ჰნიშნავდა, რომ ყველას  
მიეღო ხევის-ბერობა, არა,—ეს მოწე-  
ლეობაც ერთსა და იმავე გვარში  
ტრიალებდა, საგვარეულო ნიადაგზელ  
იყო აღმოცენილი და როცა ყოფი-  
ლის ხევის-ბერის გვარი ამოწყდებო-  
და, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა  
სხვა გვარის კაცს მიეღო დიალ საპა-  
ტიო „ლაშეართ თავადობა“. რო-  
გორც სხანს ჩენის ისტორიიდამ და  
აგრეთვე თუ ყალბი არ არის ბროს-  
სესავან დასახელებული ქოთოიძეს

სიგელი 16), ზეეის-ბერძანშა უძველესია  
დაწესებულებას შეადგენდა, რომელ-  
ზეთაც შემდევაც გვექნება ხჯა.

ზევის-ბერძან, კოტა არ იყოს, გისის  
თავი მიაგადეს: იმათ საქონთო ისა აქვთ,  
რომ არანივე სამხედრო კაცნი არიან.  
საქონთეჭლოს სამხედრო გამგეობაში  
ხული ძეელადვე ეპოულობთ ფისის-  
თაღასას და ჯერ იხვევ დაეით აღმა შე-  
ნებელმა უბოძა ეს მოხელელება აღია-  
შვილებს 17). ციხის-ჭჩენს მოწალეობა  
მარტო ის როდი იყო, რომ თვალ-  
ური დაეჭირა და ციხე შეეწახა,  
არა, — ციხის თავს უძა გაემჩგო  
და მტრისაგან დაეცვა ციხის-მილამი,  
მთლიად გარეშემო აღგილი. თუმცა

16) Introduction, p. XCIV.

17) Двор. Грам., стр. 42. ნვებმა სამ-  
ხედრო გამგეობაშ იცოდა აგრეთვე ციხის  
დერულე, რემცა ან არის ჭრივებები ნა-  
ჩვენება, რომ გვადეს ჭრინდა ამ მოხელეს,  
დასტურდებალი, § 114. შეიძლება ვაჭრე-  
როთ, რომ იგი ციხის-ჭარას ჟაცა ჩემ,  
Двор. Грам., стр. 6.

ასეა, მაგრავ ციხის-თავი ციხის პატ-  
რინი როდეს, იგი მხოლოდ ციხის  
უჯროსია (კომედიანთ ქრებისტი),  
რომელისაც მეცისონები ჯარი ემორ-  
ჩილებოდა. ასეთი შინობენ ელობა აქტნ-  
და (ციხის-თავის მარტი მთაშოკი არა,  
სხვაგანაც, როგორც ამას ამტკიცებს  
აღმულის სამართალი, სადაც ციხის-  
თავი, რასაციარებელია, შეკლომით,  
წოდებულია ჭრიადისახად და არა ჭავ-  
თლისახად<sup>15</sup>). ძველად, ქავლის დებას  
ლორს, სამცხე-საათაბაგოში ქავთლო-  
სანი მხახურთ აზნაურშეილი უნდა ყო-  
ფელიყო და იგი თავის „პატრიონს“

15) ოქტომბრაზე და ა. წელეუკიძის ხელი-  
ნაწერში ქართლისანი და ქარ-  
ლისანი მოხსენებული და ჩაინ არც  
ერთი სიტყვით მნიშვნელობა არ გვანმისო,  
ამჟამა პ. ბაკრაძე, ი. ვაკ. ვახტ.  
სხლით, გვ. 97, მაგრამ საჭმელმანია, რომ  
აღსცდას შეს. ა და ია-ში შეკლომით არის  
საბრეჭელი ეს ს. ტევზი, ციხეს ესაჭდო მთა-  
ში ქართლის და ეს სიტყვა ქველი  
სიტყვა. უნდა იუს ქართლისანი.

ემოსისილებოდა; თუ თ ქავთლოსნობა  
ხომ მოხელეობას შეადგენდა. ქუჯიც  
ციხის-თაობას შოხელოებად აღიარებს  
და ამბობს, რომ სახელმწიფო ანიჭებ-  
და ამ მოხელეობას — „ციხის თავად  
ილგეს ბძანებით“ (მუხ. ივ). არ ეი-  
ცო, მთაში რამდენი ციხის-თავი ეყე-  
ნათ; მხოლოდ სჩანს, რომ ს. ტელა-  
ში თარი ციხის-თავი უნდა იყოს.  
ციხეს დოდი შენ შენ ერთობა ჰქონდა  
(სხვათა შოთაც, კუნხის, კუნხეთა დატეცვამ“  
ვაძლიანება ეკვდის. ჟეპს) და ამავები  
ციხის-თაობაც ჩავალიშვილი სავსახუ-  
რად ითველებოდა. ციხის-ზეც საკუ-  
თარი „სისხლი სდიოდა“ და ასე გე-  
საინჯეთ, იძინა ძინა და შეიძლოს სისხ-  
ლიც-კი სხევა იყო; ციხის უბრალო  
კაცია (მუხ. ივ, იდ).

ზემოხსენებულზე ხელისუფალნი შე-  
ადგენ და ასე ასვალდობრივიც მშართვე-  
ლობას და იმათ გარდა ქუგდი არა-  
ვის იხსენიებს, აუმცა შეცულომით  
სხვებსაც უჩვენებენ და).

„( 1. ნიდ. პატიაშვი მაშანა ალიტაც ასა-

### III

ადგილობრივ შმართველობის ზე-  
მოდ იდგა უმაღლესი გამგეობა, რო-  
მელიც სატანტო ქალაქში სულეილა-  
თითოეული მახელე, ასე თუ ისე,  
ამ გამგეობას ექვემდებარებოდა, იმი-  
სის წებისა და წადილის აღმსრულე-  
ბელი. იყო და არა სხვისა ვიხიმე.  
თვით მკოფელად მხოლოდ იყი უმაღ-  
ლესი გამგეობა უნდა ცნობილი იყოს,  
ადგილობრივი მშართველობა ხელ-  
ქეებითი დაწესებულება, რომელიც  
რასაც «დარბაზი» უბძანებს; მხოლოდ  
იმას აკეთებს. და აი თვევთ გა უმაღ-  
ლესი გამგეობაც.

აქ პირველი ხელი-უფალი კუნირდა.  
რა იყო კუნირდა?

ეწირობა ჩვენის ცხოვრების ნაყო-  
ფი არა ყოფილა. ეს უმაღლესი ხე-  
ლის-უფლება საქართველოშ არაბერი-

ხელებს, ცნ. ვახ. Vaxt., გვ. 82, სახ-  
ლიო 4, თუმცა 1 კ ბ ლ შ ი მ უ მ ა ბ ა კ ა ს ი ს ს უ ლ ი ა დ ა რ ი ს ს ა ჩ ვ ე ნ ი ს ი ს .

ხაგან მიიღო და წინად, არაპების  
მფლობელობამდე, ჩეენ სრულიად  
არ მაგვეპოვებოდა. ვეზირობა მხო-  
ლოდ მაჲმადის სწავლაში შეჰქმნა და  
დაპირადა, მაგრამ საქართველოშიც  
ამ ხელის უკულობას ისეთივე ძალა და  
მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც  
მაჲმადიანთა სახელმწიფო ში: იქ ვეზი-  
რი ხელმწიფის შემდეგ პირველი კა-  
ცია, იმისი ფანაშემწევ და მარჯვე-  
ნი ხელია. მაჲმადიანთ სახელმწიფო  
მოძღვრებაში ორ გვარი ვეზირობა დაა-  
წესა: არეს ვეზირი, რომელიც სრუ-  
ლი და თითქმის დამოუკიდებელი ბა-  
ტონია და თავის ნებაზედ განაგებს  
უკელა სახელმწიფო საქმეს, არის ითე-  
თი ვეზირის, რომელიც ხალიფის ნებაზე  
და მანებას უმორჩილება 26). ჩეენში  
ამ მეორე ხასიათის ვეზირობა დაარსა  
და და რაღანაც დამოუკიდებული

26) ქართველი მეცნიერი „Основные та-  
ктика мусульманского права“, გვ. 77, 178.

ეფხარი, თევათ ყურანის სწავლით,  
შეიძლებოდა ყოფილიყო რამდენიმე,  
საქართველოშიც რამდენიმე ეპირი-  
ოუ ერთსა და იმავე დროს; ამას,  
ეფუნქტო, მეტის დების წინასიღუპა-  
ბაც უჩეენებს, ხადაც სიტყვა კური  
მრავლობითად იხსენიება — „დაუსწე-  
ლით ეპირნიო“... ეპირის დარბაზში  
პირეცლი ადგილი ეპურა და, მეტეს  
გარდა; ცეკვაზეც უფროსი იყო.  
თვი ძევლის ეპოთ მოძლეარსა, როდი  
მიავაეს, როვორც პფრენობენ 21).  
არა, — ეპირის ასპარეზი უფრო ფარ-  
თოა, ცეკვაზეც ხელი მიუწვდება,  
ცეკვაზერი ცეკოთხეის. რაც-კი რამე  
მოეხსენებოდა დარბაზის, უეჭვულად  
ეპირის პირით უნდა მოხსენებოდა;  
ერის თავი და გამვებელი ხომ გარბაზის

ii) Сбор. Зап. Вахт. стр. 84, № 3-  
4000 დ. პაქრაძისა. ეზო-მოძღვანი, რო-  
გორც თვით სახელიც აჩვენებს მუდის კარგ  
სახლის უფალი იყო. ეპირის პფრა, სახელმწი-  
ფოს ემ დღეს, ხელის-უფალია...

უკრ მიკვართაფულწენ, თუკამა დებიტოს  
საშუალებებით.

თუ უკვირისამა ხელის-უკლობა იყო,  
დარბაზი კიდევ უმაღლესს სახელმწირ-  
ფო დაწესებულებას შეადგენდა, არ-  
სებითი განსხვავება ჩერნის და რბაზისა  
ისაა, რომ იგი მარტი ხათათბირთ  
დაწესებულება არ იყო, დარბაზი კი-  
დეც თათბირობს და კილეც გამჭვირს  
(соглашательно - Административный  
органъ). ეს უძრავი ხახვათი  
დარბაზს ცხალიდ ამჩენება, გარეუქამდ-  
ნა, მოხელეს გამწერება, მავალითად  
შეცვალ-ბერისა, დარბაზედ არის დამო-  
კიდებული (ძ. დ., მუხ. ე და სჩ.);  
იგივე დარბაზი სჯილა მოხელეების  
დანაშაულობას. მაშაბადამე, დარბაზი  
უმაღლესს სამოსამართლო დაწესე-  
ბულებასაც წარმოადგენდა (მუხ. ვ).  
ერთის სიტყვები, თმ დაწესებულებას  
უკაველ გვარი - საქმე ებარა, გვედა  
უწყება და თოთოველოზალგილობრი-  
ვი გამჭვირდა აქ იყო თავ-მოუჩილია.  
დარბაზის წევრებიც უკიდენ მეტის კვ-

რის მოხელეები, თავჯდომარედ თევზა  
მეფე ბძანდებოდა და, რასაკეირველია,  
მი ი ნება და უფლება უკელაშედ მა-  
ლლა იდგა, დარბაზზედ არ იყო დამო-  
კიდებული. ერისთავის მოკველა, მავ.,  
დამნაშავეს დარბაზით უნდა ჰკითხო-  
და, მაგრამ მეფეს შეეძლო დარბაზის  
განაჩენისას „შეეწყნარებინა — „შეფეხმან  
იკითხის, რაჭამცა უფრო ძნელად  
იკითხებოდეს“, ე. ი. ნება აქეს უფრო  
დიდის სასტუკობოთ დასაჯოსო... მარ-  
თალია, მეფე თევზა დარბაზსაც აღე-  
მატებოდა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ  
ნეშნავს, რომ საქართველოს მეფეს  
მხოლოდ თავისი ნება და სურეილი  
მიაჩნდა კანონიად და სხვა არაფერი.  
არა, მეცლის დების წინაპირუვაობა, ნაუ-  
ცხოვრა საბუთს გვიჩვენებს, რომ,  
როცა სახელმწიფოს საჭიროება თხო-  
ულობდა. მეფე ერის წირმომად-  
გენელებს მოუწოდებოდა, იმათ დაე-  
კითხებოდა და მხოლოდ მაშინ დახ-  
დებადა განაჩენსა და ვადაწყვეტილებას.  
ერის წარმომადგენლობაში და რეიტ  
მეფობის ძალა და შიგნელობა.

IV

წინა სიტყვების შემდეგ, ქართველი ფეხის განმარტება. პირველიც მოხელეების „სისხლის დენას“ და მეორეც გვიჩვენებს, რომელ მოხელეს რა უნდა გარდახდეს დანაშაულობისათვის. „სისხლის დენის“ ძირითადი ოკისება-ისა, რომ თითოეულს მოხელეს სისხლი „გვარსა ზედა“ სდის, ეს ფორმულა „გვარსა ზედა“ თავიდამ ბოლომდე დაცულია და საჭრიკალ აღდარებული, ასე რომ რაც გვარი დიდია და პატივებული, იმდენად უფრო ბევრი „სისხლი სდის“, ე. ი. უფრო ბევრი გადასახალი ერგება. აქ ქართველი ფეხის მხოლოდ საწოვალო კანონის მისდევის ყველა ერთს უძველესი სისხლის სამართალი დამამშვერს სისხლისახლევინებს დაზარალებულის „გვარსა ზედა“. როცა რომლიყამე ერთს ცხოვრება ჯერ ისევ განუვითარებულია და საგვარეულო მაწყოლობას არ გასცილებია (родовой быт), თვით სისხლის საჭრელ

ლოდ „გვარსა ზედა“ სწარმოებს. ასე  
იყო მარტო მთიულეთში არა, —ჩვენს  
მეზობლებსაც სისხლი „გვარსა ზედა“  
სდომდათ 11). მაგრამ მეგლის დება  
როდი სჯერდება საჩოგადო ფონშე-  
ლას: „გვარსა ზედა“. რაკი დაარჩინა  
როგორი აღმოჩისტრიარეული მმართევ-  
ლობა, პალიტიკური სახრისი თხოვ-  
ლობდა თითოეულს შეართევდობის  
წევრს განხაკუთრებული პატივი სდე-  
ბოდა. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ  
ძელად საჭართევლოში თითქმის  
უკელა მოხელეობა გვარს მისდევ-  
და, მის საკუთრებას შეადგენდა. რა-  
კი ასე იყო, სჯერდ-მდებლობამაც  
უფრო ადვილად აღიარა სამართლის  
მეორე თვისება — სისხლის დენა რამ-  
სახურსა ზედა. რაც მოხელე შად-  
ლა სდგას, იმჟენად უფრო მეტი  
ხისხლი სდის, ასე რომ პირველი

11) მაგალითურ, ჩერქეზებს, ემარდოვ-  
ლებს, აჯათ, 1, ცр. 396—399, 167  
ა პრ.

ეობამულა „გვარისა შედა“ დაერთო  
შეორეს — «სამსახურისა შედა». დამნა-  
მაცეს შიუბალებლივ სისხლი უნდა  
დაეუწვა ჯერ აგვარისა შედა“ და ვე-  
რე პაროცნულის ღირსებისა და ჩამ-  
სახურის კვალობაზედ.

რახაც კუროველია, თუ მოკლული ანუ  
სხვავრიე დაზარალებული მოხელედ  
არ იდგა, მაშინ ბრძანებლობდა ერ-  
თად-ერთი ფორმულა: „გვარისა შედა“. ადვილობრივ მოხელეებში პარეელი  
ხომ ერთსთავია. ამიტომ ვინც ერთის-  
თავს მოჰკვდავს, ყველაზედ დიდ დამო-  
ნაშავედ ითვლება. თეოთ ივი მკვდა-  
ლობა „უმსგავსო და უსაზომო შე-  
ცოდება“. ამ «შეცოდებისათვის»  
სამ გვარი სასჯელია გაჩენილი — გარ-  
დასკენი, მამულის წალენა და სისხლის  
დაურსება გვარსა ზედა — რომელიც  
თითქმის უკელა დამნაშავესათვის ჭა-  
ვალდებულია. განსხვავება მხრიდან  
იძაშია, რომ გარდახსენია და მამულის  
წალებაცოტად თუ ბევრადხანგრძლივია  
იძისჭა გვარიად, თუ ვინ იყო ზოროტ-

მომქმედი და შსწერნპლი ბოროტ-  
მომქმედებისა. რას ნიშნავდა გარდა-  
ხსენი, მამულის წარება?

ძეგლის დება მხოლოდ იხსენიებს  
ერთსა და მეორეს, მაგრამ არ გვი-  
ჩვენებს, რას მოასწავებდა გარდახვეწა  
და რა იყო მამულის წალება. პარეე-  
ლად ხაკიროა შეენიშნოთ, რომ ეჭ-  
რულ წოლებული გარდახვეწა, ე. ი.  
სამშობლოებში განლევნა ძველი ჩვე-  
ულებაა და დასაწყისი მოეპოვება იმ  
დროს, როცა რომლისამე ერთის ცალ-  
ვრება საფვარეულო წესზეა მოწყობი-  
ლი. მაშინ თითოეული კაცი მხოლოდ  
გვარის შფარულელობის ქვეშ იმულება,  
გვარის გარეშე მისთვის შევება და  
ხსნა არაა, გვეპრი ჰპატონობს, ნუ-  
გვშობს, ნშირად იმის შაგიურად სი-  
სხლსაც იურებს. ერთის სიტყვით,  
უერთა კაცი გვარით სკოცხლობს და  
სულდგმულობს. მაგრამ შეიძლება  
ვისმეს ბედმა უმუხლოოს და გვარმა,  
რომლისამე მიზეზის გამო, ხელი აი-  
ღოს თავის კაცწედ. მაშინ ბელურული

და უკულმართი „ურუის ტოშო“ შეჩქენებოდა, გეარს უნდა მოშორებოდა, საგვარეულო მიწა-წყალი დაეტოვებინა, შორს გარდახვეწილიყო, ბერავი და უპატრონო მაწანწალი გამხდარიყო. გარდახვეწასა და მაწანწალობას ადამიანი როგორც იყო გაუძლებდა, მაგრამ საქმე იშაშია, რომ ცველის სრული ნება ჰქონდა დაუსჯელიად გარდახვეწილი დაქაგრა, თუნდა კი დეც მოეკლა, — გვარი ხომ მფარეველი არა ჰყავს და გარდახვეწილი. სა აბა ეის რაღ შეეშინდება!.. ამიტომაც საშინელი და თავს ზარ-დამცი სასჯელი იყო გარდახვეწა, გვარიდაც განდევნა (*genti adscriptio*)<sup>23</sup>). ძველის გარდახვეწისაც სწორედ ეს მნიშვნელობა ჰქონდა. აქაც გარდახვე

23) ჩვენს მოაზა ეხლაც. პირდევან. „მუკვებას“, რომელიც ა ე გ დ ღ ს გარდახვეწას შიაგავს. სხვა მთის ხალხში ხომ ცშირია გარდახვეწა, მაგალითობრ ჩერქეზის „აბრაქ“, უკანების „ხაუუშ“, ადამ, ვ. 1, 359, II, 11, 345.

ეფრილი უკველას მოკლებული იყო, უმწედ და უნურეშიც დაწანწალებდა, მუდამ შიშა და ელდას ქვეშ იჩუთ— ფებოლა და თავ— შესატარი თუნდაც რომ ეპოვა, მცარეული მაინუ არავინ ჰყავდა—

ეს უბრედურება გარდახვეწილს ურ- თი-ორად უძლოებრტებიდა, რაღვამაც გარდახეეწას თან მოსლევედა შამულის წალება კიდევ მო, თუ თითონ გარ- დახვეწილისათვის ჩამოერთმიათ მამუ- ლი— უამისოლაც ხომ იგი მამულს კერ მოიხმარდა,— საკალალო უფრო ის იყო, ხომ მამულის წალება მიმიუ- დის სასიუჟეთდ ჩადგას ნიშნევდა, ე. ი. ხაზითაც, სახელმწიფო უნდა ლაპატ. რონებოლა მამულს, ეხმარა და ესარ- გებლა. ესეც თითქო არა კმარაო: ახე- გასინჯეთ, სახლისა და კერასაც-კი ჩა- მოართმევედნენ გარდახვეწილის ოჯახს და ერისთავეს, ან გამგებელს ჩამარე- ბლნენ. ახლა ამა წარმოისდგინეთ მში- ერ-მწყურვალი ცოლ-შეილი, ბერავად ხეჭიდალი უცხო ადგილას სირცხვი-

ლი და პატივებს ახდა, ზუდამ შიში და ელდა, ცუდ-უპრალოდ არაენ მომკლასო, და გაიგებთ, რასაც უქალიფა კაცს გარდახვეწა და მამულის წალება...

მამულის წალება სასეფეროდ დადგა იყო. ეს საგანი ღირს-შესანი მნავია და განმარტებას საჭიროებს. მეგდები ხშირად მოხსენებულია მამულის სასეფეროდ დადება და ეს მარტო მაშინ-კი არა, როცა ცალკე კაცი იყო დამნაშვე, — სახელ მწიფო მამულს ართმევდა ხეობასა და სოფელსაც, თუ სალაშეწროდ არ გაეიღოდნენ (მუჩ. ით). მაგრამ ეს კილევ არაფრი. ეგრეთ წოდებულს ბერთაჯმანსაც (ვამიროცხის კუნძული) მხოლოდ იმ პირობებით უბოძებდნენ, რომ მამულის მიმღებს ხარჯი ეწია, — „საჯარო, სალაშეწრო და საბეგვრო არ დაკლდეს ქვეყანასთა“ (მუჩ. ქს). ვისაც მიწა-წყალი აქვს, მეკლის სიტყვით, ვალდებულიც არის სახელმწიფოს ემსახუროს, „სალაშეწრო“ და „საბეგვრო“ არ დაკლოს და თუ

დააკლო, მამული „წაელება“. რადგანაც ასეი იყო, მამული ადგილის მულობრელობასა და მიწის საკუთრებას თავისებური ხასიათი ჰქონდა. ეს მფლობელობა და საკუთრება სრულებით არ ვავაკედ იმ წყობილებას, რომლის ძალით მიწა საერთო საკუთრებაა და თეთი ფვარი, თურქია თემი სამამულო; საადგილო კავშირია და სხვა არაფრი, როგორც აშას სხვაგან ეხდავთ 21). ძეგლის სევა, სოფელი კომლეულად სტეოგრამს; თითოეულს კომლს ცალკე საკუთრება აქვს, თავისი ადგილ-მამული უჭირავს და საერთო მფლობელობა არ იცის. ხევი და სოფელი ერთს ვარევანს ძალის

21) სულ ძეგლად მიწა საერთო იქნა, საერთო საკუთრებას შეადგენდა. ამის ნაშთს თვით ან. ჯლის შიაც-კი უჩვენებენ. ტავტონების ეგრედ წოდებული პარკი სამამულო კავშირის იყო. შემდეგში საერთო საკუთრებისაგან კერძო საკუთრება წარმოსდგა. ნახე ამ საგნის შესახებ „Деревенский общини на Востокѣ и Западѣ“, Мэна, стр. 44 и слѣд.

ემარჩილებიან (სახელმწიფოს), როგორც თვით შინაობაში ერთისა და შეკრისათვის საფალდებულოა მხოლოდ საგვარეულო დამოკიდებულება (ყიდვათ იმავ) და სხვა არაფერი. ამიტომ ხევი და სოფელი არც ძეგლებური „მარყაა“ და არც აწინდებური „ობშეჩრა“. თუ რამე საერთო პქონდათ ხევსა და სოფელს, მარტო ის, რომ რომელსამე თემს ეკუთვნოდნენ. თემი კიდევ უფრო სადღროშე ქავშირი იყო და საფალდებულო უკულა ხევისა და სოფელისათვის. მართალია, სათემო კავშირს გვერდით საგვარეულო უდგია, მაგრამ ეს უკანასკნელი პირებინდელს ძალასა და მნიშვნელობას მოკლებულია. სახელმწიფო და კერძოდ სამხედრო ძალა სჩავრავს საგვარეულო წეს-წყობილებას. ამიტომაც მიწა-მამული ზოთქო უფრო სახელმწიფოს საკუთრებაა და ზედ აღევს ჩარჭი — „სალაშქრო — საბეგრო“. როცა ეინმე ხარჯს არ გადაიხდის, მამული „სასეფელ დაიდება“, ე. ი. მამული

სახელმწიფოს უნდა მიეღო. ამ მხრივ  
ქავდის საადგილ-მამულო წესი, კო-  
ტა არ იყოს, მიაგავს მაჲმადიანთა-  
ებრედ წოდებულს ხარაჯის <sup>25</sup>).

სასჯელის მესამე ნაწილს სისსლის  
დაუცემა შეადგენდა. სწორედ იგი  
დაურევბა იყო ჯარიმა, რომელიც  
დამნაშავეს მიუკიღებლივ უნდა გა-  
დაეხადა. შეიძლება მსუბუქ პოროცე-

<sup>25)</sup> Основы шариата и мусульманского права, стр. 88. ხარაჯის პერიოდი ადგილ-მამულებს, რომელიც ხდებოთ დაუქვე-  
რდათ მმანიშვილის დროს (ჯარიმი—свищени-  
мами война) და რომელიც წანად სხვა სა-  
რჩევნოების ხალხს ეკუთხოდა, ზარაჯი ი-  
სახელმწიფოს საკუთრებაა. საკვირველოა,  
რომ პ-ნს დ. პაქნიძეს სარელიც ვერ შეუგ-  
ნია—თუ რას ნიშნავს ქუგლი ის „სასე-  
ჭელდ შაბელის დადვა“, მომენტ ამა ხმა  
აღარ იტერდა: ... „ему (законодателю)  
какъ будто-показательно на своей территории  
поземельное право казни...“ Сб.  
зак. Вахт., стр. 83, თითქმ ჭერი ა-  
„სახელმწიფო შაბელის დადვა“ და ეს „позе-  
мельное право казни“ ერთ და ეგვა არ  
იყო!

შისათვის გარდახვეწია და მიმეულის წა-  
ლება არ მიესაჯათ, მაგრამ სისხლის  
დაურეცხას-კი თავიდამ ვერავინ აიც-  
დენდა, — საღაც დანაშაულობა იყო,  
იქ, უეჭვლიად, სისხლის დაურეცხაც  
უნდა ყოფილიყო, რასაკეირეველია,  
თუ საქმეს „პატივებით“, „შერიგე-  
ბით“ არ გაათავეებდნენ. ტეგლის სისხ-  
ლის დაურეცხაც საკოველთაო ქველს  
წესს მისდევდა, — სისხლი შაშინაც  
უნდა დაუურვათ, როცა, ბორიტ-  
მოქმედების მაგიერ, ეისმეს მარტო ზა-  
რალს მისცემდნენ, რომლისამე კაცის  
სამოქალაქო უფლებას დაარღვევდნენ  
( гражданские правонареждение ).  
ჩეენმა ქეგლის დებამარ როდი იცას —  
რა დიდი განსხვავებაა სასისხლო და  
სამოქალაქო საქმის შორის <sup>26)</sup>). თევით  
სისხლი დაშნაშავება უულით უნდა  
გადაეხადა და ეს გარემოება მით

<sup>26)</sup> სხვა მოქმედი მოუღების დაზოგ ამ-  
ბობაროვეცხას ადგრა, — არ ვპოვებს განსხ-  
ვავებას სისხლო და სამოქალაქო საქმეს  
შორის, Адаты, 1, стр. 395 და სხ.

უფრო შესანიშნავია, რომ მეზობლებში ასე არ იყო 27). ფულად თეთრია მიღებული და ეს აღმად იმიტომ, რომ მეფე გიორგი ბრწყინვალეს ჯერ მოკრილი არა ჰქონია თავისი საკუთარი ფული—გიორგული 28).

მახსენებული არაა — ჩამდენილია ერისთავის სისხლი და საზოგადო ფორმულა „გვარსა შედა“ ბრძანაფერს გეეფნება. ძეგლის თქმით, ერისთავის მოკულა არ გაგონილა და თუ ეს უბედურება იქმნა, მაშინ თვით მეფემ იცის—რაც შეიძლება სასტიკად მოექცეს დამნაშავესაო... აკაც

27) როგორც ადამებიდენ სჩანს, სხვა ტოშის მთხულები სისხლს იურვებდნენ საქონდოთ, ავავერულობით დასხვ. ფელი ხელ ახალ დროს შემოიღეს, ადამი, 1, стр. 399.

28) ო ე ჭ რ ი შავრის ღირებულია, პრისტეს „Introduct“, p. LXXXI. გ ა თ ჩა გ ე ლ ს გასტანგიც ისენიებს თავის კანონებში, მეტ. იუ. თუმცა არ ამბობს რამდენი ლირდა.

ახალი არატურით, უცელებაშ, სატაც  
წოდებრივი განსხვავება არსებობს, პირ-  
ულის ხარისხის თავადის, დიდებულის  
სისტემი შეტად დიდად ფასობს <sup>29</sup>).  
საზოგადოდ კი რომ ითქვას, მეგლის  
დების სისტემის დაურეცხა დამნაშავეს  
მაგრავ როგად ძვირად არ უჩდება.

V

ერისთავს თან გამგებელი მოსლევს.  
როგორც ზემოდაც შეკნიშნეთ, ჩა-  
მომავლობით გამგებელი ან მსახური  
იყო („მსახური იყოს გამგებლად“),  
ან არა-და—აზნაურშვილი («აზნაურ-  
შვილი იყოს გამგებლად», მუხ. ბ, დ).

<sup>29)</sup> ჩერქეზების ადათი უფრო ხასტიკად  
მოქმედობს: თავადს რომ თოვი ქსროდა თა-  
ვის უშისოვის, ამ უქანასკნელს ხელის განძ-  
რევა არ შეეძლო; ვანტ-ჭი განიშრახ: ვდა  
თავადის მოგლის, ხახლობით ამოუღეტ-  
ებ, ადათი, I, стр. 417. ოსებში თავა-  
დის — უნდანჯოგის მუკლა, საკა-და-სხვა  
ხაზებს გარდა, დის 3240 ძროხა და უბი-  
რის გაცისა-კი (უარისაგლაგ) 60 ძროხა,  
ადათი, II, стр. 28.

მაგრამ ევრეთ წოდებული მსახური  
უბრალო მსახურად როდი ითელებო-  
და, არა, — იკი წოდებითა და ლიტ-  
ებით შემაერთებელი ხიდია აზნაურ-  
სა და გლოვს შორის, მათ შვა  
სდგას. ძევლ დროს წერილ მოხელე-  
ებად; მეტადრე აღმინისტრაციაში, უფ-  
რო მსახურნი იყვნენ ხოლმე და ვან-  
საკუთრებულს წოდებას შეასვენ-  
დნენ<sup>80)</sup>). საყურადღებოა, რომ უმსა-  
ხურთა წოდება “ჩვენს შეზობელ მთი-  
ელებასაც ჰქონიათ, მაგ. ჩერქეზებს,  
რომელთა საზოგადოებურის ცხოვრე-  
ბის ფორმა და ავებულება მეტად მი-  
აგავს საქართველოს ძევლ ცხოვრე-  
ბის წყობილებას. თეთი ლსებშიაც  
მსახურნი (ყავდასარდ) ცალკე სდგა-  
ნან და განცალკევებულს წოდებას  
ეკუთვნიან<sup>81)</sup>). საქართველოში მსა-

<sup>80)</sup> Introduction, p. LXXX.

<sup>81)</sup> Алаты, I, стр. 116, § 2, 119, § 7, მეტადნ 182, XIV; II, стр. 9, 12, § 6, 14, 15, 17 და სხ. მევნიშნავთ: მეოთ-  
ხველისათვის, რომ ლსებში სულ უკანასკ-

ხურად ასწაურიც ბომ ირიცხებოდა. მაგალითების, მსახურის აზნაურის ისსე-  
ნიებს აღმუღას სამართალი (მუხ.  
ტ) ა. მაგრამ, როგორც სჩანს, შემ-  
დეგში მსახურს აზნაურობა ჩამორ-  
თმევია და გლეხსა და აზნაურს შეა  
მოჰკოლია. ჩვენ არ ეიცით როგორ  
და რისთვის აღმოიფხურა მსახურის  
აზნაური, რა ცვლილებამ მოსპო და  
წალეჭა იყო ვანსაკუთრებული სოცია-  
ლური წყობა, მხოლოდ ეს-კია, რომ

ნელს, შეოთხე წოდების გურჯარები კი გვიპა-  
ეა უფრო დანართები; გურჯარები იყვნენ ტუპეტებიდ  
წაყვანილი ქართველები; პატრონს თუნდაც  
სახლოობით გვეუდიტა თავისი გურჯიარები;  
ხმის გაშცემი არავინ იყო; თუ სხვა ეინმე  
მოჰკოლევდა, მაშინ-კი პატრონის თავისი  
და-მო ძროხა უნდა. მასცა სისხლში, ადა-  
თი, ჩ. 11—18, 28.

(2) აღბუღას სამართალი არ ამჟამს, მაგ-  
ნური რომელის დარსების აზნაური-იყო, ჩერ-  
ქეშების ადათის მაღის, სულ უკანასკნელი-  
შესამე ხარისხი აზნაური იწოდებოდა მა-  
ნურად, აღათმ, 1, ცტ. 182. იქნება ძვი-  
ლიად ჩვენშიაც პაკ იყოს.

ძელად მსახური-გამაბუჯი დაბლა  
იღვა გამგებელ-ასნაურშეკალჩედ. სისხ-  
ლიც სწვაფრიც სდიოდათ: მსახურის  
სისხლი ღირდა ექვსი ათასი თეთრი,  
(ოც-და-ათი თუმანი), აზნაურშეილისა-  
კი ჩვეულებრიცს „გვარსა ზედა“. შის-  
დევდა. მაშასადამე, უბრალო მსახუ-  
რი კეთილშობილი არ იყო, „გვარი“  
არა ჰქონდა; აზნაურშეილი-კი „გვა-  
რიანია“ და ამიტომ სისხლიც „გვარ-  
სა ზედა“ სდის.

მეგდის დება ამზობს მოკელა ორ  
ნაირიათ: შეიძლება გამგებელი მოპ-  
ლას მოელმანეემა და სოუკელმა, მაგრამ  
ისეც მოპხდება, ცალკე კაცს შეემთხ-  
ეას მოკელათ. რასაკეირველია, ეს  
ორი დანაშაულობა ერთმანეთისაგან  
ძლიერ განსხვავდება. პირველი დანა-  
შაულობა დიდია, მოელის სევისა და  
სოფლის ურჩობასა და ამბოხებას მოას-  
წაეებს. სასჯელიც დიდი აქვს განჩენილი;  
ჯერ ერთი ესა, ექვსი ათასი თეთრი უნ-  
და დაეურეოს მსახურს გამგებელს. გარ-  
და ამისა, თითოეული კომლი უნდა

„გაებეგრათ“: თითო ცხენი ბევარად და-  
ედვას წელიწადსა შიგან გამოსაყენე-  
ლად სასეულოდ.... ეს ძევლაზე ახე-  
ყოფილა... (მუხ. 3). გარდახეეწა და  
მამულას წალება არ შეიძლებოდა და  
მოუხერხებელიც იყო. ამიტომ კანო-  
ნია „ძევლს“ ჩევეულებას მიჰმართა და-  
მართლაც, იგი ჩევეულება ამ შემთხვე-  
ვაში უფრო სავარგო და სახეიროა.

„ეგლის-დება „ფათერაკით“ მოკედი-  
საც ისსენიებს — „თუ ერთს კაცს ეფა-  
თერაკოს ვამგებელი“... საჭოგადოდ  
ცნობილია, რომ უკელა ძევლი სის-  
ხლის სამართალი მხოლოდ ბორიტ-  
მოქმედების გარეკანს მხარეს აღლევს.  
მნიშვნელობას და შენაგანს-კი — გან-  
ზრახვას, აზრს უყურადღებოდ სტოკებს.  
საჭიროა მხოლოდ, რომ ესა-და ეს მოკ-  
ელებს, მაგრამ განზრან, თუ არა, — ამის  
განხილვა. საჭირო არ არისო; ამი-  
ტომ ძევლი სჯული და ადათი თი-  
თქმის <sup>\*)</sup> ერთ ნაირად სჯის 〈ფათე-

„) აი თუნდა თუნდის ადათი, ადათი, II.  
стр. 4.

რაյით, და განსრობ მოკელას. შეტ-  
ლიც სწორედ ამ საყოველთაო აზრს  
შისდევს, როცა პლიარებს: „თუ  
ერთს კაცს ეფათერაკოს... მამულისა-  
გან გაიძოს და შეუნდობლად მამუ-  
ლი სახელები დაიდეასო“... შეგრამ  
გარდახურეწა და მამულის წალება არა  
კმარიდა და სისხლიც ტალკე უნდა  
დაეუწიათ. მოხდებოდა, რომ „მეუა-  
თერაკეს“ შეძლება არა ჰქონდა სისხ-  
ლის, დასაურუებლად. მაშინ, იმის მა-  
მულს გამვებელის ოჯახს გადასცემ-  
დნენ, თუ არა-და, თვით მეუე გადა-  
იხდიდა სისხლისა და მამული სასეფეოდ  
დაიდებოდა. (მუხ. გ).

იქ, სადაც ჯერ ისევ საგვარეულო-  
კავშირი მტკიცეა და მჭიდრო, მთე-  
ლი გვარი (родъ) ეხმარება თავის  
ლარობს დამნაშავეს, იმას მაგიერად  
სისხლი იურევებს და ჯარიმას იხდის  
ან ურთბაშად, თუ არა-და—ჩელ-ნე-  
ლა, ნაწილ-ნაწილიად. ამას ვხედავთ,  
მაგალითებრ, ჩერქეზებში <sup>54)</sup>). ბოლო

<sup>54)</sup> Адаты, 1, стр. 167, 393, თუ გვა-

მეგრუს-დება, თუმცა საგვარეულო  
კავშირს უარს არა ჰყოფს, მაგრამ  
გვარს არ აკუთხნებს ლარიბისა და  
ლატაკის დამზაშავის პატრონობას.  
პატრონიცა და ბატონიცა სახელმწი-  
ფოა და არა სხვა ეითმე. მეცე იურ-  
ებდა სისხლს და მამული სასეფელდ  
რჩებოდა. არც გვარი და არც ხევი  
და სოფელი არაფერს შეაში იუნენ  
და ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამ-  
ტკიცებს ჩვენს დედა-აზრს, რომ მეგდი  
ცხოვრების საფუძვლად მიღებული-  
აქვს სახელმწიფო კავშირი და არა სა-  
გვარეულო, ან საადგილ-მამულო დამო-  
კიდებულება.

ლრრს შესანიშნავია, რომ არც აღ-  
მულას სამართალმა იცის ხსენებული-  
საგვარეულო პატრონობა. როცა დამ-  
ნაშავეს არ შეეძლო სისხლი გარდა-  
ეხადა, ან როცა თავის ნებით გარ-  
დაიხევწებოდა, მაშინ „პატრონის“ უნ-

რდ სისხლს არ გადაიხდიდა, რაშიც დატე-  
შავი უნდა გარდახვეწილიყო.

და სკეროდა მაშული და დაზარალებული კიდევ გამოსავლის ნახევარს „სჭამდა“. დიდებულის სისხლი, შაგ.., ი.რმოცი ათასი თეთრი ღირჩა. თუ დამწაშეე სისხლის ვერ დაიურუკებდა და ან გადაიხეეწებოდა, «მამული აქენდეს პატრიარქისა ჯაყელისა და მაწყურელისა; ნახევარი გამოსავლისა შესისხლეს აჭაპოს» (მუხ. ბ. იხილე ეგრეთვე მუხ. გ. სადაც აზნაურჩეა ნაშიბობა. სულსხევ ნაირია „გაუყენება“, როცა აზნაური აზნაურის მოჰკლავდა, მუხ. რნა). ერთის სიტყვით, ჩეენს უძველესს სჯულ-მდებლობაში სრულებითაც არ მოაპოვება ჩუეულებრივი „საგვარეულო პატრიონობა“<sup>16)</sup> და ლატაკი დამნაშავე მეფესა და ბატონის „პატრიონობას“ მხოლოდ მაშინ ჰპლ. ვებდა, თუ რაიმე მამული ჰქონდა,

<sup>16)</sup> საგაფან მთელებში პატრი, შაგ., თავადი პატრიონია გლეხისა-სასხლის საქმე-ზა და იმის მაგიერ სისხლს იურვებს. ადა-თშ, I, стр. 137, § 52, 139, § 56.

მაგრამ რამდენი იყო უმაშულო დამ-  
ნაშავე!...

რასიკეთორცელია, უფრო მძიმე დაწა-  
შაულობად ითვლებოდა, თუ მოხე-  
ლე გამგებელს მოჰკლავდა. მეგდი  
მხოლოდ ერთს მაგალითს გვიჩვე-  
ნებს: როცა ხევის-ბერს შემოაკ-  
ლებოდა გამგებელი. მაშინ დამნაშა-  
ვებს სხვა რამეც უნდა გარდახდოდა  
და ეს სხვა რამე უხვეის ბერიობის წა-  
ლებაა. სხვაფრიტ-კა სასჯელი საწო-  
ვალია იყო: სისხლი უდიარსა ზედა<sup>4</sup>  
და მიუკითხებელი გარდახეეწა, მამუ-  
ლის წალება. ხევის-ბერი სამ- წლო-  
ბით უნდა გაეძევებინათ და გაძევების  
დროს მამული და ციხე სასეფეოდ  
რჩებოდა. სახლი ერთისთავს უნდა ჩა-  
ბარა. რაღვანაც ხევის ბერიობა გვა-  
რეულობაში ტრიალებდა და გვარის  
ხაკუთრება იყო, ამიტომ გვარის ქაცის  
უნდა ჰპოდებოდა ეს მოხველეობა,  
მხოლოდ ისეთს გვარის კაცს, რომე-  
ლიც «არა ცხადად და არა იღუმალ»  
გამგებლის მოკულაში, არ ერთია (მუხ. ე).

## VI

თუმცა ადგილობრივს ადმინისტრა-  
ტიულ გამგეობაში ხევის-ბერი ძლიერ  
მაღლა არ იდგა, შაგრამ დიალ თვალ-  
საჩინო გავლენა ჰქონდა და სამხედრო  
საქმეში ფრიად ბევრი ეკითხებოდა.  
ჯერ ერთი ისა, რომ ხევის-ბერი ლაშ-  
ქრის უფროსია, დროშა უპყრია და  
მთელს თემს წინამძღოლობს. მეორედ  
კიდევ—თავის ხევში საკუთარი ციხე  
აქვს, თითონაც და გვარიც მეტად  
პატივდებულია. მეგლის დებარ განსა-  
კუთრებულს ყურადღებას აქცევს ამ  
გვირად უჩისა და ლალს „ლაშქართა  
თავადა“.

სისხლით ანუ ლირსებით ხევის ბერი  
მოსამსახურე გამგებელს უდრის. თრ-  
ნივე ერთსა და იმავე იერარქიულ სა-  
ფეხურზედ სდგანან. ამას სისხლის  
რაოდენობა ამტკიცებს: უკეთუ „ძვე-  
უანა“ (OBYECTIVO). მოკულავდა ხევის-  
ბერისა, ჯარიმა და გარდასახადი ისე-  
თივე უნდა წართმეოდა, როგორც  
მოსამსახურე გამგებლის მოკულაში

(მუხ. 0). ეს ერთი საბუთი. მეორე  
კიდევ ისა, რომ ხევის-ბერი ხევის-ბრის  
მაკულისათვის მოსამსახურე-გამგებ-  
ლის სისხლს ინდიდა, — ექვს ათას  
თეთრს (მუხ. ვ). სისხლ ს გარდა,  
ადმინისტრატიული სასჯელიც ერთი  
და იგივე იყო: სამ წლიაბით გარდა-  
ხევწა, მაშტალის სასეუერდ შეჭანა და  
ეგრედ წოლებული სახლის ჩამორთმე-  
ება. ერთსოფავა და გამგებელს უნდა  
ჩაებარის გარდახვეწილის სახლი.

თვით სახლი და ოჯახიც ხევის-ბე-  
რისა გაისაკუთრებულის ღირსებით  
შემკულია. ოჯახის თათოვეული წეერი  
განსხვავდება სხვა წოლების კაცისა-  
გან და ეს მაშინაც-კი, როცა პირა-  
დად იგი წეერი შესანიშნავს არადების  
წარმოადგენს. საკმარი ხევის-ბერის  
ოჯახს ეკუთვნიდე, იმის უგაუყოფა-  
რია” იყო, მასთან ერთ ჭერს ქვეშ  
სცხოვობდე, და “სისხლიც” სხვა  
გექნება, ღილება და პატიუი განსხვა-  
ვებული გეპერობა. ეს საოჯახო ლინ-  
სება შეტაც თვალსაჩინოდ არის აღია-

რებული და საყურადღებო კადეე  
ისაა, რომ ამ ლირსებას ზედ ერთვის  
„გვარის“ ლირსებაც: ოჯახსა და გვარს  
თითქო ხელ-შეკრულობა დაუდევით,  
ერთად მოქმედებენ, ერთის გხა-კვალით  
მსელელობენ და ხევის-ბერობასაც სა-  
კუთარს ფერსა ტდებენ. ამ ნაირად  
ზო ხევის-ბერობა მთლად დამყარე-  
ბულია საოჯახო და საგვარეულო სა-  
ფუძველზე (семейно-родовое нача-  
ти). გარდა ამისა, სხვა ხასიათიც ატ-  
ყენა ამ იურიდიულს დაწესებულებისას,  
საჩელილობრ ისა, რომ რამდენადაც  
ოჯახს შორიცებით და გვარის შორი-  
ულს წარმომადგენელს უანლოვდებით,  
იმდენად ძალა და უფლება ხევის-ბე-  
რობისა ნელ-ნელა მცირდება, ხისხ-  
ლი ცოტად იურება, ასე რომ ხისხ-  
ლი შადრევანსაერთ სჩექეცს ჭვემო-  
დამ ჩემოდ და რაც მაღლა მიღის,  
უფრო ჩემფა სუსტება. და მოლობ  
ხომ ჰქონება კიდევ...

რაკი სულ პირეელად ოჯახს ჰქონ-  
და უპირატესობა, ამიტომ უცელაზედ

რიდი სისხლი სდის იმ დაშნაშავეს,  
რომელიც მოკვლავდა ხევის-ბერის  
გაუყოფვას და მთასდეს (მთახლე—აპ-  
ლო ნათესავი: მამა, ბიძა, ძმა, ძმის-  
წული). დაშნაშავეს უნდა გადაეჩადა  
ექვსი ათასი თეთრი, და გარდა ამისა,  
ორ-წლობით გარდახვეწილიყო. რა-  
საკუარეელია, ერისთავი და გამკვდე-  
ლი, ჩეეულებისამებრ, ჩაიბარებდნენ  
გარდახვეწილის სახლს.. ხევის-ბერის  
ოჯახს გარედ ხომ ის ლირსება და  
პატივი არ იპოვება, როგორიც თვით  
იმის ოჯახში. გაური, გაუოფა ისეთი  
გარემოებაა, რომელიც შესამჩნევად  
აცოტავებს და ამცირებს ხევის-ბერის  
განეუღვის ერთ-სასხლის კაფის. (რა-  
დელს ჩა მის რიცხვის მისამართი და  
მის მიზანი გარდა გადაიდობა, მა-  
შინ სისხლი ერთი-ორიად უკუტავდე-  
ბოდა, ასე რომ თუნდ ხევის-ბერის  
განაუოფა ძმაც მოგეკლათ, ერთი-ორიად

ნაკლები სისხლი უნდა მიგეცათ, ვიდრე ვაუყოფარის ძმის მოკელაში. ერთიას სიტყვით, ხევის-ბერის ოჯახს ფანსხვაუებული ლირისება აქვს და შედარებით ბევრი სისხლიც სდიოდა.

მაგრამ, როგორც შევნიშნეთ, ოჯახს გვერდით გვარი უდინა. გვარი, ერთ-სისხლისა ბუნებრივი კავშირია და უკელა პირებისდელს სახოგადოებას ეს კავშირი კანონიდ აღიარებული აქვს. საზოგადოებას კინ და იტყვის, ძელს დროში თითოეული სოციალური დაწესებულება ამ კანონს ექვემდებარება. ეს უნდა ითქვას ხევის-ბერიობის შესახებაც. ხევის-ბერის დროშის გვარის თითოეული კაცი უნდა დაემორჩილოს, ერთ-სისხლის კაცებს იყი დროშა აკაცშირებს, სულ ერთია, გვარის კაცი წეულისა, თუ მოახდევ. რადა? — თუმცა კანონი ამბობს უკელა ერთ სისხლისანი „დარჩაპირ დაუყენებულს ხევის-ბერს ახლავანო“ (მუხ. ი), მაგრამ მარტო დარჩაპირ ხანჭკია. აქ არაფერს

შუაშია: ეილრე დარბაზი ხევის-ბერს  
ყველა მონათესავებს „ახლებდა“,  
თვით ხევის ბერთმაშ ყველა „იახ-  
ლა, იმხტომერომ ხევის-ბერი ბუნე-  
ბით გვარის უფროსია, მეტაურია,  
წინამქლოლია. კანონმჲ დარბაზს მხო-  
ლოდ ის დაუსაკუთრია, რაც წინაფ  
ბუნებით ხევის - ბერს მინიჭებული  
ჰქონდა... და რომ ეს ჩეინი დედა-აზ-  
რი ნამდეილია და საპოგადო სოცი-  
ალურს კანონზედ დამყარებულია<sup>\*)</sup> ა  
ამის შემდეგი ამტკიცება:

საპოგადო მოვლენაა რეამ რაც  
დრო და უამი მიდის, ერთ-სისხლო-  
ბა სუსტდება, გვარი ირლევა, იქ-  
საქსება, ამ მიშენის გამო იბადება  
განსხვავება „შორეულია“ და „ან-  
ლოს“ შეა. ეს განსხვავება იური-

\*) ვინვანდელი კამენერის წერილება სამ  
გამოვლენის წესზედ არის თანამდებობი და ივათ  
სამხედრო გავრცელების უზრუნველყოფის გამოსი,  
Гербертъ Спенсеръ. „Развитіе политическихъ  
книжъ учреждений“, стр. 20, 582—56, 62  
и пр.

დიულად სისხლის რაოდენობით იჩა-  
ტება: ახლო ნათეხავის სისხლი მეტია,  
შორეულისა ნაკლები. ხშირად, თუ  
მუდამ არა, სისხლის დენა პროპორ-  
ციალურად ქვემოდამ ზემოდ მიღის-  
როვორც უკვე შევნიშნეთ, სწო-  
რედ ძეგლის დებაც ამ გზას ად-  
გია: შეკვეთის სისხლი ნაჩერებით ნაკ-  
ლებია მრახლის სისხლზე. (მუხ. ი).  
მართალია, ნაჩერები არ არის, სწავლ-  
დობრ რამდენი ღირს ხევის-ბეჭის შე-  
უვისის (შორეული ნათეხავი) სისხლი;  
მაგრამ ანალიზის დახმარებით შეიძ-  
ლება გაფაჭრით ვსტევათ, რომ იგი  
სასხლი შეადგენდა ათას ხუთას თეთრს  
(შეიდ თუმან ნახევარს), — მოახდის  
სისხლის ნახევარს...

ჩვენ ეუჩერეთ ორ ნაირ საფუძვე-  
ლი ხევის-ბეჭისისა — საოჯახო და  
საცარეულო (семейно - родовое им-  
ущество) და აღნიშნეთ, რომ სისხლის  
დენა ოჯახსა და გდარს მისდევთა. რა-  
საცვალეელია, აღნიშნულს საფუძველს,  
სისხლის საქმის გარდა, სხვა შიაც მნი-  
შეს.

შენელობა ჰქონდა. მაგალითებრ, ხე-  
ვის ბერიბა ხომ «ლაშქართ თავი-  
ღობა», იყო. როდესაც იმთონ ხევის-  
ბერს ავადობის გამო სალაშქროდ გა-  
მოსელა არ შევძლო, ალაშქრობის  
უამს მისი მშა და მთასდე წავიდეს”  
(მუხ. კ), ე. ი. ოჯახის შვილი, თუ  
არა-და—გვარის კაცი. მოხელეობა  
სავალიეპულო იყო ოჯახისა და გვა-  
რისათვის, დრ. თუ ხევის-ბერი უმიზე-  
ზოდ ჯარში არ გავიდადა, მაშინ  
ხევის ბერიბასა და მამულს ჩამოართა-  
მევდნენ ერთის წლით.

საზოგადოდ შეგდია დება სასტიკად  
სჯის უველას, ვინც-კი უარის იტყო-  
და ლაშქრობაზედ. არც საკურიველოდა.  
სახელმწიფოსათვის ხშირად საჭირო  
იყო მთაულების განთქმული ფაქტა-  
ცობა, გულადობა. მაგრამ მთაულს  
ერთი ნაკლიც სჭირდა: ურჩი იყო,  
გალაცებული და იქნება ხანდახან  
საერთო შტერსაც გულ-ცივად ეკიდე-  
ბოდა. ამიტომაც შეგდია დაწესა, რომ  
თუ ვინიცობა ხევი, სოჭელი, ერთს-

თაეისა და გამგებლის სიტყვაზედ, ხა-  
ლაშქროდ არ გამოვიდეს, უკელა  
კომლის თითო ხარი წაპაროვით და ერ-  
თის წლით მამული სახეფელდ დადე-  
თო (შუბა ით).

### VII

მართალია, ხევის-ბერის საკუთარი  
ციხე ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებუ-  
ლი ციხისი თავაც არსებობდა. აქ სა-  
კიროა ვიცოდეთ იურიდიული ბუნე-  
ბა ამ მოხელეობისა. რაღანაც ცი-  
ხის თაეის ასპარეზი მცირეა, უდირე  
ხევის-ბერისა, ამიტომ სისხლიც ცო-  
ტა სდის, მარტო ხამი ათას ხუთა-  
სი თეთრი ეურვება; მაგრამ სისხლის  
დაურევბას გარდა ჩეეჭლებისამებრ,  
სხვა სასჯელიც იყო: ხამ წლით გარ-  
დახევწერა და მამულის წალება მხო-  
ლოდ გაკერით და ისიც თარიღდე  
სიტყვით მოხსენებულია, რომ უიხის  
თაობაც საზოგადო მიმართულების აღ-  
გვ, ე. ი. ციხის თაეის ოჯახსა და  
გვარს განსაკუთრებული ლირსება ჰქონდა  
ას მაგალითად, ციხის თაეის შვი-

ლისა ან ქმის მოკელაში ათას ორას  
თეთრი უნდა გადაეხადა დამბაშავება,  
ხამ წელიწადს გარდახვეწილიყო და  
მამული ხაზინას «ეჭაშა» (შეადარე  
შეს. იდ და-თა). ესეთი სახჯელი გა-  
ჩენილი იყო ეგრედ წოდებულ ჭარბო-  
ვასასთვის, რომელიც იურიდიულად  
უბირს კაცხედ მაღლა საფას, მაშა-  
დამე, ციხის თავის შვილი და ქა-  
ლისებით განიჩეოდნენ... მაშინაც  
კი, როცა ციხის თავს თანამდებობა  
ძლარ ებარა, მწხოვ სისტლი მანც კ ბევ-  
როლირდა — ათას ორას თეთრი, სწო-  
რედ იმდენი, რაც ჰაეროეანს ჰქონ-  
და დანიშნული.

ციხისთაობა სხვა და ციხის ქონებ  
პა კიდევ სხეა. ბევრს ჰქონდა საკუთა-  
რი ციხე, მაგრამ ციხისთავი კი არ  
იყო ეს ხახეში. უნდა ეიქონიოთ,  
როცა მეცდის დება ციხის დაქცევას.  
მოდერისტებს ციხის დაქცევისათვის  
დამნაშავეს უნდო დაეცახა პატრონმ-  
სათვის ნახევარი სისხლი გვიანსა ჩე-  
და” და ციხეც ახალი აეგო (შეს. კ)

მაკრამ ჩეენ პატრიარქის უნდა მიემორ-  
თოთ.

საკუთრიად და განსხვავებულად იხსე-  
ნიება ჭავროვანი, რომელიც ცალკე  
სდგას, არც ერთს მოხელეობას არ  
ასრულებს, მაგრამ მდაბით ხალხისა-  
გან-კი გაიჩინება. პატრიარქი თავისის  
სიხელით და მაშასადამე იურიდიულად  
აღემატება უბირს კაცა, ხოულელ-  
ხა — «სოფლისა», „ვიწგინდავი-  
ნას“. იგი როდი ნიშნავს „ერისეკუ-  
თაგანს“ — „изъ числа народа“, რო-  
გორც შეცდომით განმარტებს დალ-  
ლრმა და საფუძვლიარ მცუდნე ჩეე-  
ნის ისტორიისა ვ., არა. — პატრიარქა-  
ნი ხწორედ „отличнейший“-ია, რა-  
საც უარს-ჰყოფს ბი დ. ბაქრაძე.

“\*) ბ. ნი დ. ზ. ბაქრაძე ამბავს, რომ სი-  
ტურა „პატრიარქი“ უნდა გადაითარგმნოს  
„изъ числа народа“ და არა — „отличней-  
ший изъ народа“, Сбор. зак. Вахт.,  
стр. 36, ხხოლით 1. ვაშასადამე, აგრძოს  
ჰერხია, რომ ჭავროვანი „отличнейший изъ  
народа“ არა უაფიცა.

ჯერ ერთი ისა, რომ სიტუაცია ჰპატოვა  
ნება“ ისეთს ცნებას შეიკეთეს, რომე-  
ლიც უველია კაცს არ მიეწერება „).  
გარდა აპიკა, თეთით ძეგლის დება, არა-  
თუ მარტო იურილიუსად, ან დაიწი-  
კურადაც ჰპატოვანს მაღლა უყენებს  
უბრალო კაცზედ. ბაგალითებრ, იქ-  
ლის წინასიტუაციაში პირდაპირ მოხ-  
სენებულია, რომ საჭიროა კრიბა.  
ზედ, როცა სახელმწიფო საქმის შე-  
სახებ თათბირი იყო, მეცვე ჰპატოვან-  
თაც მოუწოდებდა ხოლმე — „მოვა-  
სხენით ყოველნი უნებულნი ხელის-ბერ-  
ნი და ქართველნი და გავიგონეთ მათ-  
ნი საქმენი“ ... „შემოვედით ქალაქსა  
და შემოვიტანეთ (თუ შემოვიყენეთ?)  
თემისა და თემის ერისთავნი და ხე-  
ლის-თავნი და ხელის-ბერნი და ქართ-  
ველნი“ ... ჰპატოვანს უფლება ჰქონდა  
სამეცნიერო თათბირისა და პრიბას დასწრე-

(1) როგორც კაბა-სულთანი არსედიანთ  
განპარტებს, სატევა „ჰპატოვენა“ ნოშივს  
ა ელილ-მოძალუ და მ. სალი ე ჩა ს.

ბოლა და ამ უფლების ძალით გეორგი  
ვიბოწყინეალებ „პატიოლეანისც“ შოთასა.  
ნა სიტყვა „პატიოლეანი“ საზო-  
გალოდ ერს რომ ნიშნავდეს, მაშინ  
ხომ შოთლად მთიულების ჩამოყენა-  
იყო საჭირო სატაზტო ქალაქს ტფი-  
ლისში, მაგრამ მხოლოდ მოხელენი  
და „წარჩინებულენი“ შეჰკრიბდეს. და  
სწორედ ეს უკანასკნელი იწოდებო-  
ლენ პატიოლეანებალ.

თეთი პატიოლეანის იურიდიული თვე-  
სება უფრო მეტად ასაბუთებს ჩვენს  
აზრს. მართალია, ქედის დება, რო-  
ცა პატიოლეანის ისევნიებს და იმის  
სისხლის აფასებს, არ ბმართობს ჩვეუ-  
ლებრივს ფურმულას „ვვარსა, ზედა“  
მაგრამ ამ ფორმულის გამოტოვება  
კიდევ იმას არ ამტკაცებს, ერთომ  
პატიოლეანი უბრალო სოფლიოთხი-  
ოფა და „ვინვინდაეინა“ არა; —  
თეთი ქედის სიტყვით, — პატიოლეანი-  
სოფლიოთხის პირდაპირ უფლია და თეთ-  
ცა სოფელში სცხოვრობს, მაგრამ  
სოფლიოთხიკი არაა; როცა სოფელი

სალიაშვილთა არ გამოვიდოდა, სხვა—  
თა შორის, კომიტეტი თითო ხარი ცუკ  
ჯარიშა, — «ესე ჸეროვნისა და სოფე  
ლიონისა იყოს» (მუხ. ით). პატიო-  
განი და სოფელიონი ცალ-ცალკე იხ-  
სენ ებიან და მაშასადამე კიდეც გან-  
სხვაედებიან. ამიტომაც ზოგიერთს  
შემთხვევაში პატიოგანი სახელმწიფო  
საბჭოს — დარბაზს ექვემდებარებოდა.  
როცა პატიოგანი პატიოგანს მო-  
ჰკლავდა... „თუ დარბაზისა ცნობისა  
ღირსი იყო პატიოგანი... დარბაზის  
ივითხოვნ“ (მუხ. ია). დარბაზს უბრა-  
ლო კაცის, „სოფელიონისა“ ანუ  
„ვინგინდავინას“ საქმე როდი ეკით-  
ხებოდა და ეს არც მოხსენებულია.  
ამ გვარის კაცის დანაშაულობას ადგი-  
ლობრივობი მოხელუნი შეჯობდნენ. ასე  
გახინდეთ, პატიოგანის ყეყლა დანა-  
შაულებაც-კი არ ეკითხებოდა დარ-  
ბაზს და მხოლოდ მძიმე საქმეს თუ  
მოახსენებდნენ.

ვინ იყო პატიოგანი? — აუგრის დება  
პირდაპირ არ განმარტებს ამ საკანს,

მხოლოდ მცირე ცნობას გვაძლევს, რომ ჰაეროვანი წარჩინებულია და „სიკეთით“ შემცული თავის სოფელი ში, თემში. ჰაეროვანის თევისების საცოლენელი საჭიროა არ დავივიწყოთ, რომ ჩექნი ძველი სამართალი თევით გლეხობაშიაც პირადს ღირსებას პატივსა სცემდა, „სიკეთით“ შემცულს ვლენს სხვა გლეხებზედ მაღლა აყენებდა, თუმცა-კი საზოგადოდ უეცლა გლეხი ერთს წილებას შეადგენდა. აღმულას სამართალი, მაგალითებრ, სისხლის დაურეების დროს უურალლებას აქცევს გლეხის „სიკეთესა“: უბრალო გლეხის სისხლი ღირდა ოთხასი თეორი, ხოლო ისეთის გლეხისა, რომელსაც „პატრონი იციობდა სიკეთესა ზედა“ — ათასი თეორი (მუხ. იბ).

ეს იურიდიული დაწესებულება მარტო ჩვენის ცხოვრების საკუთრება როდია. ჩვეულებრივი მოელენაა, რომ პირვენდელის ფორმის საზოგადოებაში და აგრეთვე მაშინ, როცა უეცლანი უმეტ-ნაკლებოდ სწორნი არიან, ერ-

თი რომელიმე ოჯახი, ან რამდენიმე კაცი თავისის ძალა-ლონით, ლორ-სებითა და ხიქეთით სხევბზედ მაღლა სუვანან. ასე იყო საჩელდობრი თეით ტეჭუანების დემოკრატიულ მარკა-შოა). კერძოდ ჩვენს მთაში, თუმცა იურიდიკულად წოდებრივი განსხვავება არ არსებობდა და როგორც ეხლა, კველა მკვიდრნი თანასწორნი იყენებს, მაგრამ თოთო-თოთლა თჯახი, რამ-ლენიმე კაცი განირჩეოდა სხვებისა. გან „ხიქეთითა“, განსაკუთრებულის ღვაწლითა სამშობლოსა და სოფელ წინაშე. აქა-იქ მოიპოვებოდა გვარი და თჯახი, რომლის წინაპრებს დაუ-ერწყარი საშსახური გაეწიათ თემისა-თვის თავიანთის ვაჭკაცობითა, „პეტ-ათ-მყოფლობითა“ და სხვ. ნალის დიდი პატივსა სდებლა ისეთს გვარსა და თჯახს, საკუთარის ლირსებით ამკო-ბდა. და რადგანაც თვით ხიტყვა —

\*) Деревенскія общины, Маня, ст. 84 и др.

«ჰაეროეანი» კუთილუ-მოსდომილია, ამი-  
ტომ ხალხიც თავის წარჩინებულებს  
ჰაეროენებად რაცდა: „სიკეთო“, კუ-  
თლი დაუთესნიათ თქვენ წინაპრე-  
სა და კუთილუ-მოსდომილი ხართო...»

რა-კი ჰაეროეანი უბრალო ერის  
კაცისაგან განსხვავდებოდა, სისხლიც  
მეტი სდომდა, — თუ ჰაეროეანმა შო-  
შკლას ჰაეროეანი, ათას ორისი თეთ-  
რი დაუუწეოს, ხამი წელიწადი გარ-  
დიხვეწოს და შამული ხასეფეოდ წაე-  
ლოსო (მუჩ. ი). ასეთივე ხასჯეული  
უნდა გარდაეხადა ხევის-ძერს, როგო  
ჰაეროეანი „ეფათერაკებუდა“, თუ  
უსაბედად შემოაკვდებოდა ეს უკანას-  
კნელი (მუჩ. იბ). ტეგლის დებაში შოხ-  
ხენებული არ არის რამდენი ღირდა  
«სოფლიონისა», „ერზგინდაეინას“ სის-  
ხლი. შოლოდ ნაჩეენებია საზოვადო  
ფორმულა „გვარისა ზედა“ და იგი  
ფორმულა „ხომ ნიშნობლები არ ამ-  
ბობს, ამდენი დაყურეოს დაზიანებუ-  
ლისათ. ჩექნის აზრით, ტეგლის უძ-  
რალო „სოფლიონის“ სისხლი თვის-

ადგილობრივ პუნქტს შიანდო, ადამია  
და ჩვეულებას გარდასცა ეს ხატე,  
მხოლოდ ერთის პირობით: „სოფლი-  
ონს“, რაგორუ ყველას სხვას, სისწ-  
ლი დაეუწვის „გვარისა ზედარა“...  
ამიტომაც არა სჩანს, რომ სახელ-  
დობრ ესა-და-ეს უნდა მიეცეს „სო-  
ფლიონს“ სისხლის ფასში... ეს გა-  
რემოება, სხვათა შირის, ცხადად აჭ-  
ტკიცებს, რომ „სოფლიონი“, იური  
დიულად ყველაზედ დაბრუა იდგა, შე-  
დარებით ყველაზედ ცოტა სისხლი  
სდიოდა, თორებ ასე რომ არა ყოფილი  
დოკო, კანონი პირდაპირ მოიხსენიებ-  
და „სოფლიონისა“ და „ვინგირდა-  
ვინას“ ამჟენი სისხლი უნდა დაეუ-  
რცოსო, ამიტომ შეუძლებელია განვ;  
მარტოთ — თუ რამდენად აღემატე-  
ბოდა პეტროვანი „სოფლიონს“. ეჭვს  
გარეშეა მხოლოდ ის, რომ შეა-  
როვნობა ცალკე იურიდიულს წყო-  
ბასა და ჯვეუფს წარმოადგენდას პატ-  
როვანი უბრალო კაცი არ იყო და  
განსაკუთრებული სისხლის დიოდა.

ამ დედა-აშრის დახამტკიცებლად  
სხვა საბუთაც მოიძებნება. ეს საბუთი  
ეცრედ წოდებული აზგანიკია, რო-  
მელსაც ქართულ სჯულ-მდებლობა-  
ში საკუთარი მნიშვნელობა აქვს. აზ-  
განიკია, აზგანი შეადგენდა განსა-  
კუთრებულს გარდახახადა, რომელიც  
დამნაშავეს უნდა ეზღო დახარალე-  
ბულისათვის. მართალია, წოგიერთ  
პოროფ-მოქმედებისათვის საჭირო იყო  
სისხლის დაურევებას სხვა ჯარიმაც  
ჰელ დართოდა, ანუ, როგორც ალ-  
ბულას სამართალი ამბობს, „სისხლს  
ემაფოს“ (მაგალითებრ, ეისმეს  
მღვდლის ცოლი რომ შეეყვარებინა,  
ზამნაშევე მოაშეკეს, სისხლს გარ-  
და, „სამოცი ათასი თეთრი სხვა  
ემაფოს“ (ალ. მუხ. რე; ავრეთვე რე).  
შეკრამ არზანგი «მეტი ჯარიმა» რო-  
ლია, ივი სხვა მნიშვნელობისაა და  
ცოტა არ იყოს მიაგადეს იმავე ალბუ-  
ლას საპირისა (ალ. მუხ. რე, რეა).  
როგორც საპირი განსაკუთრებული  
ჯარიმა იყო პიროვნების შეურიაციო-

ფისათვის დაწესებული და, საზოგადო  
ფორმულას მისდევდა, „გვარსა ზედა“  
მოქმედებდა, ისე ძეგლის დენის არჩან-  
გობასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონ-  
და, განსაკუთრებული ჯარიშა იყო  
და სწორებაც ნათარგმნია სიტყვით  
„ვა იბეჭ“<sup>39)</sup>. არჩანგობას ხატოთ  
არა აქვს-რა მხოლოდ სანაცხისათან  
(აღ. მუხ. რეგ), რომელიც ჩიშნავს  
„საზავო სანდოს“<sup>40)</sup>. ძეგლის-დენის  
სიტყვით; არჩანგი სხეულ-და-სხვარ აზ-  
ნაურისა, ხევის-ბერისა და ჭაროვანი-

<sup>39)</sup> Сбор. Зак. Вахт., гл. 91. პ-ნი პა-  
ქრაძე სხოლითში სიტყვას არჩანგი სთან-  
გმის ვიზაგრამდეში, რომცა ეს უკანანას-  
კნელი სულ სხვაა და არც „ვა იბეჭ“-ს  
ნიშნავს. არჩანგი საპასულხან თრბელია-  
ნის ლექსიკონში არ იპოვება. „წერავითხვის  
საზოგადოების“ ხელო-ხაწერებში შეცდომით  
იხსენიება უ ა რ ჲ ა ნ გ თ ბ ა არჩანგისა და  
არჩანგობის მაგიერ.

<sup>40)</sup> როცა მესისხლები დაზადებულები.  
სისხლის გარდახლამდე ფასს რასმე მისცემ-  
დნენ და სანაცხის იმ ფასს ერქვა, ას. ს.-ს.  
ორბელიანის ლექსიკონი.

სათვის, „უფროსობასაც“ და ეუმტ-  
როსობაზე» დამყარებულია. როცა  
სისხლის რაოდენობასა და არჩან-  
გუბას შევაფარდებო, მაშინ ჰაერო-  
ვანის არჩანგი სუთჯერ ნაკლებია ჩქ-  
ნაურისა და ხევის ბერისაზედ. ოფიც  
სისხლის ჰაეროფნისა სწორედ ამო-  
დენად ჩამოუტჩებოდა აზნაურისა და ხე-  
ვის-ბერის სისხლსა. სოფულიონიკი,  
უბრალი კაცი, მოკლებული იყო არ-  
ჩანგსა. ერთის სიტუეიც, არჩანგობა  
წილებრივსა და პიროვნულს ღორსე-  
ბაზეა დამოკიდებული და სისხლთან  
შეფარდებულია.. დაბალ წოლებაში  
იყი მარტო ჰაეროფანს აქვს მინიჭებუ-  
ლი. რადგანაც ახეა, თეირ ჰაეროფა-  
ნის უბრალო სოფულიონსა და ეინ-  
გინდაეინაზედ მეტია, სისხლითა და  
ღირსებით მატ აღემატება.

ერთი გარემოებაც, რომელიც ზე-  
მოდ მოკლედ აღნიშნებო, უფრო მე-  
ტალ ასაბუთებს ჩეტვაზ ფანტარებ-  
ბულს ჰაეროფანებაშა. ჰაეროფანი სისხ-  
ლით უდრიდა ციხეში თავიდ უოუილია.

და ეს უკანასენერით ხომ განსაკუთ-  
რებულის უფლებძთა და პატივით იყო  
აღჭურვილი. როგორც ჰაეროვანისა,  
ისე ციხის-თაერ უოფილის სისხლი  
ათას-ორასი თეთრი ფასობრი (შუბ-  
ია, იდ). დიალ, ჰაეროვანი ნაშდვილად  
განსხვავდებოდა უბრალო მთიულისა-  
ფან და «ოთლიცენტრში ჩვე ჩარი-  
და» იყო!..

მეცნის დექა სხვა განსხვავებასაც  
ჰქოვებს ვლენთა შორის. მთიულებში  
ეხლაც გართქმულია სალოცავი ლო  
მისის წმინდა გორჩვისა, რომელიც  
თვით ვითრვი ბრწყინვალები ისრუა.  
მთელი მთა დიდის სახოებითა და მო-  
წინწებით შევედრის ამ წმინდა და  
სალმთო საღვრას. ძველ დროში ლო  
მისის დყილების შეწინული ყმები ჰყავ-  
და და რეზგანაც ფი ეკულებია დი-  
დალ პატივცემული იყო, ამიტომ მი-  
სი ყმაც თავისის სისხლითა და ლირ-  
სებით სხვა მეცნილოთაგან განირჩეო-  
და. ასე გასინჯეთ, ლომისის გლეხს  
თვით ჰაეროვანზედაც მაღლა იჭვა

და სისტლში ათას-ხუთასი თეთრი  
ეუროვებოდა, ე. ი. ხამასის თეთრით  
შეტი (მუხ. შშ).

### VIII

ძეგლის წინასიტყველბაში მოხსენებ  
ბულია, რომ, სხვა-და-სხვა ბოროტ-  
მოქმედებას გარდა, ხშირი იყო აგრე-  
თვე „ცოლის წაგვრა და უბრალოდ  
დაგდება“. თვით ეს გარემოებაც მი-  
ჰეზად დაფლო ძეგლის დადებას. ამი-  
ტომ ცოლ-ქმრობასა და საზოგადოდ  
ხაოჯახო წეს-წყობილებას მიქცეული  
აქვს ჯეროვანი ყურადღება.

ძეგლის ცოლ-ქმრობას ცხადად უტ-  
ყობა ორგვარი ხასიათი. სჩანს, რომ  
საკუკლესო მოძღვრებას გრა ვაუკვ-  
ლევია ოჯახში, მავრან ამ მოძღვრებ-  
ბას მეღვრად ებრძვის. მეორე, სულ  
სხვა მიმართულება, რომლის აზრით  
ქორწინება უბრალო წელშეკრულე-  
ბაა და არა „საიდუმლო“... ეკულესიი-  
საგან უარყოფილი და დევნილი წარ-  
მართული ცოლ-ქმრობა ხომ ბუნებ-  
რივი სოციალოგიური მოვლენა და

ძევდა ჩეეგულებაა. ამიტომ ძევდათ თა-  
ცოლქმით წყობილებასაც ლრმალ  
დასწნევია ამისი კვალი. რაღვანაც ასეა,  
ძევდის მდებელი. რასაკვირველია, ამა-  
ღდ სწირის, რომ ცოლის „უბრალოდ  
დაგდება“ და „ცოლის წაგერა“...  
„დაღდ უხამართლოდა მძლავრებული  
ქმნილ უკოთ“... საქვე იმაშია, რომ რომ  
გრძელ პირეელი, ისე მეორე მაშინდელის  
ცხოვრების შიუცილებელი მოვლენას  
შეადგენდა და ლაზაკური შედეგი  
იყო იმ ლიტონდელის საცოლქმით  
და საოჯახო ეითარებისა (1). ძევდის

(1) ძევდის „ცოლის უბრალოდ დაგ-  
დება“ სრულიად მიატავს მაჭმალიანთა თა-  
ლიაქს (Talakъ). თალიაქი უარის აქმაა,  
სამჯერ გამეორება ხატუვისა „არა შეურს“...  
თალიაქის ძალით, ქვარს, როცა ქვრიანულა,  
უგვევლოვის შეუძლიან ცოლის „უბრალოდ“,  
უდანაშაულოდ გააგდოს, მნიშვნელ მექა-  
ნი უნდა მისცეს. ეს მექანიკ მეგლი იკ-  
ისას სულ უდინის და წინადგე გადაჭა-  
რილი ფარის, რომელიც გაგდებულის ცოლი  
უნდა მიეცვას ფას დენ ბერგъ, ცტ.  
111—112. მაგრამ აქვთ კაჭვა ან შეი-

მდებელმაც სრულიად ვერ აღმოჩენია  
და ვერ აღმოჰკეთა „უბრალოდ შეუ-  
ცოდარის ცოლის დაგდება“, არა, —  
სჯულ-მდებელმა ნება-უნებურად ცო-  
ლის უბრალოდ დაგდება იწამა და  
შეინდო, მხოლოდ ერთის პიროვ-  
ბით: ვინც უბრალოდ შეუცოდარს  
ცოლს გააგდებს, ნახევარი სისხლი  
უნდა დაუურყოს „ნეარისა ჩედაო“  
(d.-ღ. მუხ. კა. ამ მუხლის გამე-  
ორებაა შემდეგი, ოც - ლა - მეხუთე  
მუხლიც. კვ.) მაშასადამე; ძეგლშია სხუჭ  
შემწეობა ვერ გაუწია დიაცს, მარ-  
ლიოდ სისხლი გაუჩინა, ე. ი. სწორედ  
ისა, რეუ უიმისოდაც ჩეცულება და  
ადათი ქალს აკუთნებლა გარეშე შე-  
ზობლობაში (2). მეორე უძველესი

---

ძლება დავასცვნო, რომ ე ე კ ლ მ ა გ ა დ-  
მისადა „უბრალოდ დაგდება“ უუნიდამ  
თან, —იგი დაგდება ძეგლი ჩეცულება, ადა-  
თი და რიცხვის უვალა მოის ზალებს მო-  
ჰვება.

(2) ეგრეთ წადესული ჩერქეზების უ ა-  
ლი მი, აზნაურის ფალისოფვის ას აცი

ჩეენი სჯულიც, აღბუდას სამართალი, რასაკვირელებია, ქეგლის განჩინებას შისლეცს, — ცოლის უმიზებელ და უბრალოდ დაგდება შეიძლებაო, შპოლოდ საჭირო კია ნახევარი ცისხლი მისცეთ და მხათელებულან გაატანოთო (მუკ. ლ.). ერთის სიტყვეთ, ორივე უძველესი სჯულ-დება მხოლოდ ხაზოგადო ჩვეულებასა და ადათს ადგია, როცა ცოლის დაგდებას მოვკითხ. რობს.

დაგდებას გვერდით უდვია — ეგრედ წოდებული „წაგვრა“, ცოლის მორაცება. როგორც დაგდებას, ისე წაგვრას ერთი და იგივე სოციალუ- გიური საუუძელი აქვს, ორივე დაწე- სებულება ერთის სათავისაგან მომ- დინარებს. საქმე რმაშია, რომ დედ დროს ცოლის შერთება მოტაცებით

---

თუმანი, გლოების ქალისათვის საშუალე თუ- მანია. ისებაზი ვარს შეუძლიან, როცა სურა, გააგდოს ცოლი, მხოლოდ ნახვარი უ რა- დ ა უნდა მისცეს; ადამი, I, ცტ. 172; II, ცტ. 27, § 102 და სხ.

შეიძლებოდა და მოტაცება კიდევ სა-  
უკეთესობაზე ჩვეულებას შეადგენდა.  
წვერებისა და ადამიანის დაგვაწყალ  
თეოთ მოტაცება სხვა-და-სხვა გზით  
იყოდნენ, — იტაცებინენ ფარულიად  
და ქალის ნება-დართვით, თუ არა-  
და—დასხმით, ძალადომით ა.). მეტ-  
დის დების ცოლის წაგვრა სწორედ  
ამ შოტაცების ნაშთია, მისი გამეო-  
რებაა, თუმცა სჯული ვარტო ქმრიან  
ქალის წაგვრას იხსენიებს. რა-კი ერ-

---

“) მაგალითებრ, ჩერქეზები ფარულად  
იტაცებენ ქალისავე თანხმობით; მოტაცება  
სავაჭაცო და საკრძალი საქმეა, ადამ, I,  
стр. 134—135, №№ 41, 42. ყაბარდოშა  
დასხმით, ib. 226, № 12; ასევე მოვარდა  
იციან, АД. II, 5. № 19 და ს. მოტაცე-  
ბა პირვენდებული უორმა: ქორწინებისა და სა-  
ზოგადო პოვლებას შეადგენს. შემდეგში ნა-  
მდვილი მოტაცება ისპანია და მის შაგიც  
სი გა და და ე რ ი მოტაცება სჩნდება; გმის  
შესახებ ნახე, „Начало цивилизации“, ქ.  
Леббока, стр. 75—85, სადაც, სხვათა  
შორის, მოუგანიდია ჩერქეზების სამარჯოუ-  
რი მოტაცება.

თხელ წევულებამ დააწესა, შოტა კება  
საბუთია ცოლის შეჩრთვისა და შერ-  
თვას ნიშნავსო, კმრიანის ქალის მო-  
ტაცებაც აღვილი შეიქმნა და ზშირიც  
იყო. მაგრამ თუმცა საზოგადოდ უქმ-  
რო და კმრიანის ქალის მოტაცებას  
ძეველი ადათი ესარჩდებოდა, კანონ-  
მა-კი სასტიკი ყურადღება მიაქცია.  
ცოლის მოტაცებას, რადგანაც ეკ-  
კლესიამ კორწინება თავის საკუთარ  
საქმედ იცნო და ცალკე ცოლ-კმრი-  
ბის მოძღვრება დააწესა.

ქეკლი ჯებაც, როცა წაგერას გვიამ-  
ბობს, შხოლოდ „გვირვეინ-ნაკურთხს“  
ცოლის იხსენიებს და „ჯვარ - გაცე-  
ლილს“. გვირვეინ-ნაკურთხი კანონი-  
ები ცოლია, ეკულესის წესით შეუ-  
ღვილელი და პირტომ ნისი შაპერა  
დიდ დანაშაულობად ითვლება. ვინც  
სხდას ცისმე ასეთს ცოლს მოსტაცებს,  
თუნდაც ჯერ მოტაცებულს დიაცს არ  
შეხებოდეს, „არ შეუჩოდეს“, მაინც  
კმარის ნახევარი სისხლი უნდა დაუურ-  
ვის „ჯვარსა შედა“ (ძ.-დ. მუს. გვ.)

თუმცა ჭვარ-გაცელილ დიაცს ჯერ  
კიდევ ცოლი არ ეთქმის და იგიშნო-  
ლოდ დანიშნული და დაწყისდუდნა, მა-  
გრამ ძეგლი იმის წაგერასაც კაცს ბრა-  
ლადა სდებს და ამ ბოროტ-მოქმედე  
პისათვის ჯარიმად სისხლის მეტესედს  
ანდევინებს, რასაკვირველია, „გვარისა  
ჰელა“ (მუხ. კდ). მაშასადამე, კუნარის  
გარება, ნიშნობა ნამდვილი იურილი-  
ული პირობა იყო და სავალდებუ-  
ლოდ ითელებოდა მოშავალ ცოლის  
ქრისტიანთვის. საზოგადოდ ასეთი მნი.  
შენელობა ჰქონდა ძველს ქართულს  
ნიშნობას და მხოლოდ სულ ბოლოს,  
უცხო სჯულის გავლენის გამო, გარ-  
დაიკცა იგი უბრალო და უმნიშვნე-  
ლო ფორმად. უკველია, რომ აღ-  
მულას სამართალსაც ნიშნობა ხავალ-  
დებული პირობად სწამდა, თუმცა ისე  
სასტიკად არა, როგორც ძეგლის დე-  
ბას. აღმულას სიტყვით, „ჯერ გა-  
ცელილ საცოლეს“ წაგერისათვის და-  
მნაშავეს სისხლი-კი არ უნდა გარდა-  
ეხადა, ცატა რამე უნდა მიეცა გულ-

ნატყენ დანიშნულისათვის, რათა მტრო-  
ბა არ აღიძრასა (მუკ. 8).

შავესა და ბნელს სურათს წარმო-  
ადგენდა ცოლის წაგვრა, თითქმის  
არც ერთი ბოროტ-მოქმედება არა  
ჰბადავდა ისეთს სასტიკესადა მედვარს  
მტრობას, როვორც წაგვრა. ჯერ ერ-  
თი, რომ დამნაშავეს სრული სისხლი  
უნდა დაეუზეა. მაგრამ ეს არა კრა-  
როდა: „ცოლი წაგვრილს“, მოქმედის  
წლის განმაელობაში, სრული ნება  
ჰქონდა ყოველი გვარი აფ-კაცობა და  
ბოროტი მიეყენებინა წამგვრელის  
თეის, — თავს დასხმოდა, დაერჩია, გა-  
დაეწეა... თითქმ ესეც ცოტა იყო  
და შეურაცყოფილს ქმარს შეორე წე-  
ლიწადიაც ნება ეძლეოდა შური ეფო  
მტრისათვის, — ერთის წელიწადს უკან  
რას ემტერების, იგიც შეიფერების“,  
მპოლოდ იმ პირობით, რომ მაშინ  
შატრო დაბაკევაშ სისხლის დაურევება  
მართებსა... (ქ. ად. მუკ. კბ). საყურა,  
დღეგო აქ დაა, რომ, შერისძების  
დროს, რაც უნდა შევწი შარდალი და

უნება მიეცა ცოლა - წაგვერილს თავის  
მტრისათვის, სისხლში მაინც არ ჩაუ-  
ვარდებოდა. თურდა მტერი კიდეც მოე-  
კლა, მაინც არაფერი; მხოლოდ თუ  
კისმე იშის ოჯახისას მოჰკლავდა, „სი-  
სხლი არასოდეს გაუცუდდების“, ე.  
ი. მოკლულის სისხლი უანგარიშეთ  
ცოლ-წაგვერილსაო.

შერისძება ცოლის წაგვერის გა-  
მო ცალკე სდგას და მოქმედობს იმ  
დრომდე, ეიდრე სისხლი დაიურვება. სისხლის გარდახდის შემდევ მესის-  
ხლეთა შორის შშეიდობა მყარდებო-  
და და შერისძებაც ისპობოდა. მა-  
შასადამე, შერისძება სისხლის და-  
ურევბას წინ უძლოდა და განხაკუთ-  
რებულს მოცვლენას წარმოადგენდა. მისი თვისება ითხოვდა სრულს სასტი-  
კობას და სასტიკიც იყო, მავრამ უა-  
და, დრო ანელებდა და აცხრობდა  
ამ. საშინელსა და შემაძრწუნებელს  
ცნებათა დელვას. შერისძება შხო-  
ლოდ ორ წლამდე უნდა გაგრძელე-  
ბულიყო და ეს შედარებით მოკლე

კადა, რაც უნდა ჩყოს, ამტკიცებს; რომ ძეგლმა შეასუსტა და ძალა მთა-  
კლიო საშინელს მტრობას და ეს იმ  
დროსთვის პომ თეალსაჩინო წინა  
მსელელობა იყო<sup>14)</sup>). რასაკეირელია,  
თუ დამნაშავე სისხლს მაღვ ვარდა-  
იხდიდა, შურის-ძიებას საბუთი არა  
ჰქონდა და თავის თავად ისპობოდა,  
თუ არა-და—ორის წლის მეტს მაინც  
ვერ ვასტანდა. თუმცა ბუნება უველა  
შურის-ძიებისა ისეთია, რომ ხშირად  
შეს იძიებს მოელი გვარი და ოჯა-  
ხი, მაგრამ ძეგლის შურისძიება მარ-  
ტო უოლ-წაგვრილის საქმეა, მისი პი-  
როვნული კუთვნილებაა. ქარს ვარ-  
და, არც მოახდეს და არც მეუკის,

— 14) ჩერქეზები შურისძიება რამდენხსამე  
აობათა და საუკუნესაც-ცი ცასტანდა ხოლ-  
მე, ადამ, 1. ცტ. 165, V; ზოგიერთ ად-  
გილის იხეთში სისხლის დაურვება სის-  
ცხოლად მიაჩნიათ და საჟილი ჟილი შუ-  
რისძიებას მისდევენ; ჩაჩნდა შიაც შურისძიე-  
ბას თოთქო დასასრული არა აქვთ, ადამ, II, 28, § 109, 93, § 26.

არც გაუოფილს და არც გაუეთვარს  
ნება არა აქვს შტრობა გაუწიოს ცო-  
ლის წამგვერელს. ეს მეორე თეისები  
კიდევ უფრო ასაბუთებს ჩვენს აზრს,  
რომ მევდება, ცოტად თუ ბევრად  
მშეიძლობის ნათელი მოჰყვინა იმ პნე-  
ლეთს, რომლის უფსკრულში მხო-  
ლოდ მლელევარე შური და მძვინვარე  
შტრობა მოსხნდა...

იურიდიულად შურისძიება შეიცავს  
ორს ნაწილს, ორს სხვა და სხვა სა-  
განს. იგი სდევნის პიროვნებას (ეს  
დასსმა). გარდა ამისა, აზრად აქვს  
დამნაშავეს ზარალი მისცეს, ქონები-  
თა და მაშულოთ აენოს, ამას კერძოდ  
მტრიდა ჰქეიან (მურ. კბ, კვ). დასსმა  
და მტრობა ერთად სწარმოებენ, ერ-  
თად ვარჯიშობენ; შურის მემიებელს  
ორისავე ნება აქვს, იმაზედ დამოკიდე-  
ბულია, რა ირჩიოს, რამელს ღონეს  
მიმმართოს, პიროვნებაზედ იძიოს შუ-  
რი, თუ მაშულ-ქონებაზედ. რასაკეირ-  
ვილია, დასწმა და მტრობა რომ უსახ-  
ჯელოდ დარჩენილია, კერ, ისევ

შერიგებისა და სისხლის გარდამდის  
ჩაენებაც არ უძღა ყოფილიყო — „არც  
შეზავებულნი იყვნენ, არც აანდო-  
ბილ იყენენ, არც სისხლი აღებულ  
იყოს“... მხოლოდ მაშინ ცოლ-წაგვა-  
რილი „დამსხმელი არ არის“, დასტა-  
არაუკრია, უშედეგოა.

მაგრამ, დასხმას გარდა, შეკრისი-  
ბის დროს „შეკრის“ სომ შეიძლე-  
ბოდა, — როცა შეკრისხლენი ერთმანეთს  
შეხვედებოდნენ და იარაღზეც მოვარ-  
ცებოდა საქმე. თუ ცეულ-დაკადილი  
ცოლ-წაგვარილი მოჰკლავდა კურ-  
ბისა და ქუდის ამხრელს, თავის შე-  
მარტინენელს, სისხლის შაგიერად,  
სულის შესანდობელი უნდა გარდაე-  
ხდა და ამ შემთხვევაში ჩირებია  
კათალიკურმან და ეპისკოპოზმან გაუ-  
ნინონ, — სხვა არაუკრია თუმცა ის  
ხააღაპო ხარჯი ანუსხული, არ არის, მაგრამ, ცდონებთ, აქაც სია გვარება  
შედა „უნდა შემდვრიყოთ...

ჩვენ შეენიშნეთ, რომ მეტადი დება  
ცოტად მაინც დაამშვიდე უნებათა

ლელე, ალაგრა თავ-აწყვეტილი შუ-  
რისძიებათ. ამას საჭიროებაც თა აუ-  
ლობდა: გულის-შემაძრწუნებელსა და  
აღმაშფოთებელს სურათს წარმოად-  
გენდა ცოლის წაკვერა, საშინელს  
მიხლა-მოხლახადა შეუდარსა ჰპადავდა.  
გაშმაგებული გრძნობა ზშად იყო ყვე-  
ლა შთაენთქა, ყევლაფერი შეემუსრა  
და ისე შეუნდობლად მრისხანებდა,  
რომ თვით შეიარაღებულნი, «აბჯ-  
როსანნი დიაცნი» მონაწილეობას  
იღებდნენ მეცისხლეთა ერთურთის შეხ-  
ლაში, „შებმაში“. დიაც, გულადი  
და შეუპოვარი მთის მანდალოსანი  
ქუთხასანთან ერთად ეპრძოდა შეშუ-  
ლებეს... დადუმება აღარ შეიძლებო-  
და და ქულმაც მხოლოდ ერთი ლო-  
ნისძიება იხმარა, —იქმნება ამან მაინც  
ბოლოს მოუღოს დიაცის კაბასობა-  
საო: ... „თუ დიაცი შეომჩად იყოს  
და აბჯარი ჰქონდეს და მოკვედეს, გა-  
ცუდდეს მის დიაცის სისხლიო“ ... ეს  
იმას ჰნიშნავდა, რომ აბჯროსანი დია-  
ცი ცოლის გაშო ატებილს შებმაში

ნუ გაერევა და თუ გაერია, მისი  
შოკელა არაფერია, სისხლი არ ეზ-  
ლევსა. ასე ეპურობა ძეგლი დიაცე  
„შებმისათვის“ და რამდენადაც ეს  
მოპყრობა სასტიკია, მით შტკიცდება,  
რომ იგივე სჯულ-დება სხვა შემთხვე-  
ვაში შეტაც ჰქომავობს და მთარს  
უჭერს ბრალ-დაუდებელ ქალსა, ასე  
რომ „შებმის“ დროს ეინძე „უპრა-  
ლო“, უმანკო დაცი რომ მოეკლათ,  
„ორი სისხლი დაიუჩინან დიაცესა-  
თვისთ“ (ძ.-დ. მუჩ.-კვ).

თითქმ დიაცეთა მოკლითაც არ  
თავდებოდა თავს ზარ-დამსხმელი „შებ-  
მა“. თუ „შებმისთვის“ არა, „შებმის“  
დროს მაინც ხწროდნენ, ან ჰკელიდნენ  
მღვდლებსა და ბერებსა, ასე გასინ-  
ჯეთ, თეთო მონოზნებსაც-კი. ეს ალ-  
ბაც იმიტომ, რომ „შებმას“ ხაშინე.  
ლი სისხლის ღერა მოსდევდა და საა-  
ქაო ბოროტის მღვდნელნი ვალაც  
პრაცედნენ შუღლი მოესპოთ, მესის-  
ხლენი გაეშველებინათ. მაგრამ, ხაშ-  
წუხაროდ, „მურისძების ზეირთი ხშირ

რად ჰლობაელა თეით ლეთის-მოსაფ-  
თაც. მხოლოდ ამ უკანასკნელთა სა-  
სარვებლოდ „გვარისა შედა“ ორ კე-  
ცის სისხლის დაურევება თათქო ჰლადა,  
დებდა, რომ ააფთრებულ შერისძიების  
წინაშე ყველა ლონისძიება ამაო და  
უკუჭი არისო!..

## IX

საღაც უალის წავერია ჩვეულებრივს  
მოელენას შეადგენდა, იქ საცოლ-  
ქმრო კავშირი და ურთიერთობა განვი-  
თარებული ინ იქმნებოდა. სწორედ  
ახეც იყო. ქეცხის დება თორიოდე ცნო-  
ბას თუ გვაძლევს საცოლ-ქმრო და-  
მოკიდებულებისას, თორებ ხევას არა-  
ფერს. ეს თარიოდე ცნობაც მხოლოდ  
ეგრეთ წარებულს სასჭმულოსა) შეე-

(\*) როცა გისმე ქმარის მოუკლავდნენ,  
ქვრივს ქმრის სისხლისაგან რაიმე ნაწილი  
უნდა რგვებოდა თავის სარჩენად. ამ ნაწილი  
სა სა 3 ა 3 უ რ ა ეწოდებოდა. შეცოლმო უწოდე-  
ბენ სა სა 3 უ რ ა ს, მაგ. დ. პატარე— სა-  
საპერო მოიცეს მაღისა (თუ ძალისა?) მხგავ-  
ხად... Сбор. 39 кн. Вахт., стр. 68, № 69—

შეპა. ცოლ-ქმრიობის იურიდიული და  
ზნეობითი სურათი თითქმა დავიწყე-  
ბოდა და ამიტომ ძნელია ამ სუ-  
რათის წარმოდგენა. მაგრამ ანალო-  
გიას თუ მიემართეთ, შეიძლება ცოტად  
მაინც შევიგნოთ ცოლ-ქმრის ურთი-  
ეობითი დამოკიდებულება. საქვე იმა-  
შია, რომ როცა რომელიმე ერთ შო-  
კალაქობას მოკლებულია, მაშინ იჯა-  
ნში ცოლი შედარებით დაბლა ხდვას.  
ქმარზედ, სხვა-და-სხვა უფლება ჩამო-  
რთმეული აქვა და უმეტეს ნაწილად  
ქმრის მონაა. ესლაც, მაგალითად  
ჩვენს შეხობლებს, ცოლი თითქმის უბ-  
რალო ნიერად მიაჩნიათ; დიდი ხანი  
არ არის მას აქეთ, რაც ქმარს შეეძ-  
ლო ამ ნიერის გასყიდვა, ჩუქება, ე.

4.) ჩერქეზებში ქმარს შეუძლიან უჩინ  
ცოლის მახვილოს. ცოლს საოჯახო  
ქანებისა არა ეკითხვის-რა, მემკვიდრეობის  
მოვლებელია, Адаты I, стр. 117, 140,  
153, §§ 3, 69, 83, 85 დას. ასებში ქმარს  
რომ ჭამაზი უშვილო ცოლი ჰყავდეს, სხვან  
გარდაცემს, იქნება შეიღი შეაქნა. ეს

რასაკეირველია, არც ქსნისა და არაგვის  
დიაცი იქმნებოდა სარატრელს მდგრა-  
მარეობაში. ამას თითქო ძეგლის დე-  
ბაც ჰეოწმობს, როცა ამბობს, რომ  
მთიულის ცოლის ხელი მიუჩედებოდა  
მარტო სასაპყრობელ... დაუს სათ-  
ჯახო მამულში წილი არ ედო და, ასე  
გასინჯეთ, ქმრის სისხლიც-კი ოჯახის  
საკუთრებას შეადგენდა. მართალია;  
ქვრიესაც რამე უნდა რგებოდა ამ  
სისხლისაგან, მაგრამ თითონ ეს სა-  
საპყრო როლი იყო გადაჭრილი და გა-  
დაკვეთილი. შეიძლება ქრისტე ბევრ-  
ჯელ სულ ცოტაოდენი ნაწილი შე-  
ჰქვედონდა, რადგანაც „თუ მოკლუ-  
ლის კაცის ცოლი დარჩეს და არ  
გათხოვდებოდეს... სასაპყრო მიეცეს  
ძალისა მსკავიადღ“... ოჯახზედ იყო  
დამრკილებული, რასაც გაიმეტებოდა სა-  
საპყრო, და, მაშასადამც, ქვრივი ისევ.

---

ჩეულება დიგორელებაშია და უმარტი დუ-  
რა აუსაცა უწოდებენ, Адаты II, стр. 37,  
§ 46.

იმის შორისადაც შესტკიც რდეთ. ჰუფ-  
ჯერ სახაპყროსა დარბაზი უნიშნავსა;  
„ოუ დარბაზის ცნობის ღირება იყვნენ,  
დარბაზს იყითხონ და დარბაზით გაე-  
ჩინოსთ“... ხანდაპან-კი ერთსოფაც და  
გამოეხედი უნიშნავდნენ (მუხ. იტ).  
ერთის ხილუვით, დიალექ. სახაპყროს  
გარდა, საოჯახო მამულისა არა ეყით-  
ხდებოდა-რა და ეს გარემოება პირდა-  
პირ პლატფორმის მის არა-სანატრაქციას.  
მდგრადარწევას...”

საოჯახო. ქონება ორად იყოფიდა:  
და: მ.მუდი ( родивое ) და ჩესეუ-  
დი ( купленное , ნაკონიერი ცხოველი). მამუდი ეკუთვნოდა ხეერთოდ  
ოჯახს და კორძიდ თითოეულს წევრს  
და არა მარტო ოჯახის უფროსს,  
მაგრამ ოჯახს მამუდი შეოდიდ უნ-  
და ეხმარა , ესარგებლა , საკუთრე-  
ბაშ-კი ( право собственности) ვერ შეე-  
ხდებოდა. ეს ხაკუთრება სახელმწიფოს  
ეპურა, რაღვანაც შეგვლის მამული „სა-  
მატონოა“ და ჩატონად კიდევ სახე-

ଲ୍ଲବ୍ରିତ୍ୟାନ ପଥପ୍ରଳୟକୁବା. ମାମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଏହିଙ୍କ  
„ଦାତ୍ରିକରୀ ସାମ୍ବାକୁରୀଙ୍“ ଲାଗି ଯିନିପି ଏହି  
„ସାମ୍ବାକୁରୀଙ୍କୁଠେଲ୍“ ଶ୍ଵାରିକ ପର୍ଯ୍ୟାନକୁ, ଶ୍ରେଣୀ  
ବିନ୍ଦୁରେତ୍ତିଲା, କିମ୍ବା କାରିପି ନେବା କ୍ଷେତ୍ରକୁଠା. ମା-  
ମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍ କ୍ଷେତ୍ରକୁଠା. ସାମ୍ବାକୁରୀଙ୍ ଶବ୍ଦା-ଲା-  
ଶବ୍ଦା ନାହିଁର ପ୍ରକାଶ, ଶ୍ଵାରିକ, କାଶକ୍ରୋଧିର୍ବ୍ୟ-  
କ୍ରମ, କାଳାକ୍ଷରଣ... ତାହା ଯିନିବେ ସାମ୍ବାକୁରୀଙ୍କ  
ଏହି ଶ୍ରେଣୀଙ୍କୁଠେଲ୍ଲା, ମାମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍କୁଠା ଏହି-  
କ୍ରମରେଣିନା ଲାଭାର୍ଥୀରେଣିନା. ଖାଚା, ମାଘା-  
ଲ୍ଲିନିତାର, ମାତ୍ରା ଭାବେରିଲ୍ଲେବେଳିଲା ଲା ସାମ୍ବା-  
କୁରୀଙ୍ ଏହି ଶ୍ରେଣୀଙ୍କ, «ନାଶ୍ୟନାଳ୍ପି» ତାତାନ  
ଶ୍ରେଣୀ ଲାଭକ୍ରମା ଲା „ମାମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍ ଶ୍ରେଣୀଙ୍-  
କ୍ରମକୁ ଗାନ୍ଧାରୀରେବା— „ମାତ୍ରାମ ନାଶ୍ୟନାଳ୍ପି“ ଲାଭ-  
କ୍ରମରେଣିନା ଏହି ଶ୍ରେଣୀଙ୍କରାନ ମାମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍କର ଗ୍ରାମୀ-  
ଶ୍ରେଣୀଙ୍କର“ (ପ.-ଲ., ମୃତ୍. ର୍ଯ୍ୟ). ମାନୁତକ-  
ଲ୍ଲିଙ୍, ଦ୍ୱୟାଳୀ ନିମିତ୍ତକୁ ଅଭିନାଶ, କିମ୍ବା ତାହା  
ଭାବେରିବେଳ୍ଲୁଙ୍କ ମାମିତା ନାଶ୍ୟନାଳ୍ପି ଏହି ପ୍ରକାଶ-  
କ୍ରମରେଣିନା, ମାମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍କରାନାକୁ ଲାଭକ୍ରମାନା-  
କ୍ରମ“, ମାଘରାମ ଏହି କ୍ରେତାର ମାଘାଲ୍ଲିନିତି  
ଶ୍ରେଣୀଙ୍କରାନାକୁ ଏହି ଅନ୍ତର୍ବ୍ୟାପି ମାମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍  
କ୍ରମରେଣିନା, —ଖାଚା ଶ୍ରେଣୀ ଏହିକୁ, ମାମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍  
ମହାମହିମାରେବେଳ୍ଲୁଙ୍କରାନ ମାନିନିବୁ ସାମ୍ବାକୁରୀଙ୍କୁଠେଲ୍  
କ୍ରମକ୍ରମରେବେଳ୍ଲୁଙ୍କରାନ...

ଶ୍ରେଣୀଙ୍କ କ୍ରମରେଣିନା ଦ୍ୱୟାଳୀର ମାମ୍ବୁଲ୍ଲିଙ୍କ

ისაა, რომ, ეიდრე უსალიაშვილთა და  
საბეგრიო” არ მოისპობა, მამული  
ოჯახის ხელშია, ვერც შაბა და ვერც  
სხვა ვინმე უფროხისი ოჯახს ვერ გა-  
მოსწორავს მამულს . საკა ოჯახია,  
იქ მამულიც უნდა იყოს. ოჯაჩი კი-  
ცეც განტალკევებულსა და შეიძოხდეს.  
დულს დაწესებულებას შეაღენდა.  
რაკი ოჯახი ცალკე გაერთოდა, გაი-  
ყრებოდა, მაშინ სამუშავოდ ჰკარგა-  
ვდა უოფელ გვარს ქანებრივსა და სა-  
მამულო კავშირს სხვა ნათეხსავს ოჯა-  
ხებთან. მართალია, მათ შორის სა-  
გვარეულო დამრკიდებულება არ ის-  
პაბოდა, მაგრამ უველა ოჯახის ქო-  
ნება, სულ ერთია, მამული თუ ნასყი-  
დი, თითქო კინე სიმაგრეში სდევსო,  
ისე ხელ უხლებლად მიაჩნდათ. უკ-  
ეცელია, რომ ქონების ასეთი თვისე-  
ბა უარის ჰყოფდა ეგრედ წოლებულს  
ანდერის და ეს მით უკრო საყერად-  
ლებოა, რომ კავკასიის სხვა მთის  
ნალის მეტად მისდევს ანდერის, იმათ-  
ში ხშირი ამბავი ქანების ანდერისთ

გადაცემა. ოსები, მაკ., მამას სრული ნება აქვს, ეინც ეპტიანება, იმას გარდაც ცოტა საგვარეულო თუ კეთილშექნილი მამული, <sup>7)</sup>). ეს ხომ ასეა, მაგრამ მეგდი ერთს სიტყვასაც არ ამზობს ოჯახის უფროსს ან რომელსამე წევრს ნება აქვს თუ არა საოჯახო ქონება სხვას უანდერძოს, ოჯახს გარედ გარტანოს. არა, ან დერძი სრულიადაც არ იხსენიება ქეგლის-დებაში. კიდევ არაფერი, როცა მამულის ანდერძია დატოვება არ შეიძლებოდა. მამული საბატონო იყო და არავის უფლება არა ჰქონდა სხვის საკუთრება თავის ნებაზე დარღვეულია, მაგრამ საქმე იჩიშია, რომ თევით „ნასყიდის“, ე. ი. შექნილის ქანების ან დერძია დატოვებაც არ არის მოხსენებული. ოჯახის რაც-კირამე

<sup>7)</sup> Адаты II, 6, § 24. ჩერქეზების როგორც სიტყვები, ისე დაწერილი ანდერძი აქვთ და იმათვი ანდერძი განვითარებულის უორშისაა ადათы, I, 150, §§ 73—77; თუმცა არც ის უნდა დავივრებულო, რომ მოწის საკუთრება-ვი აჩი იციან, ib. 120, § 12.

ძებულის, ხაურითი კუთვნილების. შემდგენს და ძეგლი ნებას არავის აძლევებს ამ ქონებისას სხვას ვისტე, გარეშე თვაბის კაცი, ნაწილი უანდებოს. მხოლოდ ბეითალმაღალ დარჩენილი პარტაკუ მაჭული ებოდებოდა წოდებე გვარის კაცია). მაგრავ ბეითალმა-

(\*) რაფი საზოგადოდ მანული. „საბატონი“ იყო, რახაკვირველია, ბეითალმაღალ დარჩენილი მაჟლიც (ვაკიროცის იმაჟი) სახულების საკუთრებას შეადგენდა. ხდეს სხვა აზრისა ბ. ნი და ბაქრაძე — „что касается горского населения Грузии, то, по смыслу 28 статьи „Зак.“ Георгия, въ немъ шичье право пе существовало на выжирочное имѣніе, которое непремѣнно переходило въ родъ унаршаго, либо въ руки посторонняго... съ извѣстнымъ, впрочемъ, обязательствомъ, Сб. Зак. Вахт., стр. 90, სხვათი 3. ჯერ ერთი, რომ აქ წინააღმდეგობა. თუ ბეითალმაღალზე უფლება არავის ჰქონდა, მაგ არც გვიჩნდა და არც გარეშე აცი ექნებოდა. მაგრავ ასე ხომ არ იყო. მეორედ, კი ბუხლილი ცაშ ცხადებდ 1 ჩანს, რომ ერთოვავი და გამგებელი ბეითალმაღალს ადლევდნენ იმ პირი-

ლად მამული შაშინ შეიქნებოდა, როცა ოჯახი ამოწყდებოდა ხოლმე და როცა „ოჯახს შემამულ აღარ შიგაჩინდა“...

როგორც შევნიშნეთ, გაყრილ ოჯახებს, თეით ერთ სისხლით და ერთ გვარით შეკავშირებულებს; ერთმანეთთან არა რაიმე ქონებრიერი დამოკიდებულება არა ჰქონდათ. განცალკავება და დაშორება ისეთ დიდი მანძილზე შიდიოთა, რომ გაყრილებებს ერთმანეთის სისხლში წილი არ ედოთ, ჯარიმიდამ არა ერგებოდათ. რა, მაშინაც-კი, როცა მოკლულს ქმან იჯახში არც შეილი და არც გაფურიერდა აჩლიო მიზოებავი არა ჰყავდა, ხისხლი შაინც იჯახს უნდა დატეჩოდა, იგი მისი საკუთრება იყო და ამ საკუთრებას უკრც ერთი გაყრილი ნათესავი — მეუერსი თუ მოახლე, სულ

---

მის, რომ მიმდება მოპერა და შოთაშახურე იყოს. მაში ბერიალიშვილი სახელმწიფოს საკუთრება იყოდა და იყო კიდევ.

ერთია — ხელს ვერ შეასწოდა. როგორ ხმარობდნენ ძმის სისხლს? სისხლი ორ ნაწილად უნდა გაეყოთ. ერთი ნაწილი სახელმწიფოს მიმქონდა — „ტასეფურად დაიდეასო“, შეორე კიდევ სულს უნდა მოხმარებოდა საცონებლად — „დარჩეს სულისათვის სახაუროდო“... მართალია, ძეგლი ასეთს წესს აღვენს, რომა ძმა მოჰკლავდა ძმის (ძ.დ., მუხ. იშ), მაგრამ ამ კერძო წესს საზოგადო ძალა პქონდა, ხავალისებული იყო მაშინაც, რომა ერთი ოჯახის კაცი მეორე ოჯახის წევრის მოჰკლავდა. ეს იმიტომ, რომ ერთის ოჯახის სისხლთან მეორე ოჯახს ხელი არა პქონდა.

ეკრევ წოლებულს სულის საურაოს ჯეროვანი ყურადღება პქონდა მიკილდება (۹). მიუღილებლად სულსაც

(۹) ს. ა. არჩევლიანის განჩინებებით, ც. ა. უ. რ. ს. ჭარება ნიშნავს. მცდეს დარღმით სჭირდად იცოდნენ უეწირულობა „სულის აუგას სახაუროდ“. ვეკლებისაგადა მოხასტერი სწირვავდნენ გლერებსაც-აც, მაგრა ქაინუსამ

თავისი ნაწილი უნდა რგებოდა სისხლისავან. გარდა ამისა განშარებულია, ეინ უნდა მოახვაროს სულს ეს ხარჯი. თუ მოკლეულს შორეული ნათებავი ეშადა, მაშინ იმის მოვალეობა იყო სისხლის „სასაურიოლ“ მოხმარება, თუ არა-და, ერთხოთავსა და გამგებელს ეშარაოთ ეს სულის საცხონებელი დასაღმოთა საქმე (ძ.-დ, მუხ. იხ).

რასაკვირველია, როცა მოკლეულს ჩამდენიმე განაყარი ძმა დარჩებოდა, ერთერთს მათგანს, უფრო დაახლოვებულსა და უფრო უფრო შემატეკიცარს, უნდა ეტვირთა სულის ხასაურო მოვალეობა (მუხ. ი.მ), თუმცა-კი სისხლისავან თითონ ცერას აღლებდა, პურელს ნაწილსაც ვერ მოიხმარებდა თავის ხასარებლოლ.

---

და ლურსაბ ერთოვავშა მოვალეს 1661 წ. თავისი ბიძაშვილი ზეალ ერთოვავი, მაჭმადიანთა რად მიიღე და შეუვას განუდევო, და ცოდვის შესანქობდად თიხი კოშკი გლეხი შესწირეს ანანურის ეკლესიას, ცერ. გუჯარი, стр. 20—21.

საიდამ წარმოშდგა საოჯახო ქონების ამ გვარი თეისება? უშთავრესად იქიდამ, რომ საოჯახო ეკონომიკური განწყობილება და წესი აღმოცენდა საბატონო მამულზე, სახვლმშემუშავის საკუთრებაზედ და ამ გარემოებამ ძლიერი გაელენა იქონია. საბატონო მამული ხელს არ უწყობდა კერძო საკუთრების აღორძინებას და ეს უკანასკნელი ჯეროვანად ვერც აღორძინდა. მართალია, „ნახყილი“ კერძო საკუთრება, მაგრამ „მამული“ თავისის მნიშვნელობით სრულდად სჩავრავს „ნახყილს“, და რომ კერძო საკუთრებას დადო მნიშვნელობა არა ჰქონდა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ სეგდის ანდერძიანი იყის და არც დააწესა. აქ არ უნდა დაეიცეიწყოთ ერთი მოვლენაც, — ძეგლის დროს საგვარეულო კავშირი უკვე შერყეული იყო, მოკლებული იყო პირვანდელი ცხოველის ძალას და საკვირველიც არაა, რომ ოჯახს დარჩა უპირატესობა...

მარტო მამულზედ არ იყო და-  
ფუძნებული ოჯახის ეკონომიკური ძა-  
ლა. მამულს გვერდით ნასუიდი ედ  
და და ეს უკასნაკნელი შეიცავდა რო-  
გორც მოძრავს, ისე უძრავს ქონე-  
ბას, თუმცა-კი უფრო მოძრავი შეა-  
დგენდა ნასყიდს<sup>10)</sup>). ნასყიდის გაჩენა,  
იმისი საფუძველი თვით თჯახის ბუ-  
ნებაში უნდა ვეძიოთ. რაც უნდა იყოს,  
ძეგლის ოჯახი ცოტად მაინც ხელს უწ-  
ყობდა კაცის სიმწნევესა და თაოს-  
ნობას. კველა წევრის შეეძლო თავისი

<sup>10)</sup> კავკასიის მოედნებს აქვთ ხაგვარეუ-  
ლო და შეძენილი ქონებათ (родовое и благо-  
дарственное имущество). როგორც ერთს, ისე შემ-  
ნეს გიხევ ჰური გარდასცემები, ადამი,  
I, 150, § 71. ასევე ჩერქეზებში, რომელ-  
თაც მაწა საერთო საკუთრებად მიაჩნიათ,  
ib. 120, § 12, 175. არც ჩაჩნდება იციან  
მოწის საკუთრება. ურველ წელიწადს მაწას  
თანასწორად ჰურუენ, ადამი, II, 79, §§  
4, 5; ისებაზი მამას უკვება აქვთ სახვას გა-  
დასცეს საგვარეულო და შეძენილი ქონება,  
იმის ნება, რასაც უნდა მას უზამს საოჯა-  
ხო ქონებას, ib. 6, § 24.

საკუთრება გაუჩინა, ვამაღლ გარდა  
ხევა რამე „ეყიდვა“, შე ცინა. ეს მოვ-  
ლენა ჩვენს სჯულ-მდებლობაში ჩვეუ-  
ლებრივია, მაგალითებრი ალბულას  
„მონაგები“ ივიე ძეგლის ნახყიდია  
და ხევა არაფერი (მუქ. რნდ—რნე).

რა-კი ნახყიდის სათავე და დასაწ-  
ყისა ხევა იყო, რახაკვირევულია, ივი  
„სამსახურსაც“ მოშორებული უნდა  
ყოფილიყო. დის, სახელმწიფოს ნახ-  
ყიდთან ხელი არა ჰქონდა და ნახყი-  
დი თავისუფალი იყო „საჯარო“, სა-  
ლაშქრო და საბეგროსადან“. ვისაც  
როგორ სურდა, ისე ჰსმარობდა ნახ-  
ყიდს და, როცა ოჯახს თავს დაანე-  
ბებდა, ნახყიდი თან მიჰქონდა, — „რა-  
საც უზამს, გავიშ იცის, შეიდი ნა-  
ხყიდს ვერ უცილოსო“ (d. დ., მუქ.  
ივ). მხოლოდ მახუცებულს მაჲას  
შეეძლო, თუ ნახყიდი არ ეყოფილია,  
მამულისაგან ჩატა რამე წაედლო, მაკ-  
რამ ეს ხომ იმიტომ, რომ თავისი  
სივარუსალე ხულ „საჭახურში“ ჰქონ-  
და გატარებული.

შპობლებისა და შეიღის პიროვნული დამოკიდებულება და ურთიერთობა შეუძლია მოკლედ არის მოხელეებული. ქართველის საოჯახო წესის საფუძვლიად მხოლოდ შეიღის „ნების მყოფლობა“ პირით, შეიღი მიზანილი უნდა იყოს დედ-მამისათ. ამ „ნება-კოფლობას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეიღისათვის მარტო ჩნდებოდა კი არა, ეკონომიკურადაც. შამა მხოლოდ ჩაშინ დაუტოვებდა შეიღის თავის ნისკადს, როგორც შეიღი იმის მიზანილი იყო და პატივის-მცემელი, თუ არა-და, შეიღის ხელი არა ჰქონდა შამის კურძო საკუთრებასთან ა.). ამასთანავე ქართველი იმასაც დასქენდა, რომ

<sup>51)</sup> რეგისტ. ჩვენი მეზობლების ადაფი მეტად სასტუკა უფლებას ანიჭებს მამას. ჩერქეზებს, მაგალიონებს, ნება აქვს ურჩი შვილი მოჰკვდის და ვერავინ რას ეტუვის; ოხებ-ზიაც ახდით ჩვეულებაა, ადამი, I, 152, § 81; II, стр. 26, § 98. სულ სხვა ნაირად არის ჩაჩერები, მამაშ თუ შვილი მოჰკვდა, ხევა მაგა შვილების მოსირვები მამას, право კავკ. ib. 96, § 38, 112, § 8.

უპრიანია დაბერებული შამა და შო-  
წიუებული შეისაცავე, სკოვრობ-  
დნენო. მაშასადამე, სჯული ფასს სდე-  
ბდა ზნეობითს კაშის და ჰქადაგებ-  
და—რა დიდი მნიშვნელობა აქეს, რო-  
გა ოჯახში შამაშეიღური თანხმობა  
და სათნოებაა.

დედ-მამის მოკველა საშინელი და  
საზარელი ბოროტება იყო და, ასე  
გასინჯეთ, ძეგლს ვერც-კი წარმოუ-  
დგენია ეს ბოროტება, — „ჩვენთა ეამ-  
თა შიგან არ ქმნილა და ლმერობან  
ნუ იყოფინოსო...“ რასაკეირველია,  
ამუმძიმესს დანაშაულობას ხასჯელიც  
შესაფერი მოსდევდა — „რაც უარესია,  
კველას დამართება და ყოფა პირია-  
ნია“ : სიკედალიათ დასჯა („გაპატი-  
ჟება“), პმოწყვეტა, ამოფხერა, სამუ-  
დამოდ გაძევება და... მაგრამ ამაზედ  
შეტი უბედურება სხვა რაღა უნ-  
და დამართოდა კაცები სისხლის და-  
ურვება ხომ ყოველად შეუძლებელი  
იყო და ან რა სისხლი გაანელებდა  
გონვებისა და გრძობის ლრმად აღ-

მაშტოთებელს დედ-მამის მოულას, ქეგღის სილუეთ, სისხლის დაურუება „უმსგაესოა“ და სხევბისათვის ზამაც-დორი იქმნებაო (მუკ. იე).

სისხლის დაურუება გაჩენილია ძმის მოკვლაში და აქაც დამნაშავეს სი-სხლი «გვარსა ზედა» სიღილა. ამ სი-სხლის დენას ზედ ერთოდა ათის წლები გაძება და მამულის სასეჭვლილ დადება. როცა ვადა გათავედებოდა, ერისთავი და გამგებელი ვეზირის პირით მოა-სევნებდნენ დარბაზს და მაშან დამნა-შავე „შემოუშვანო“... (მუკ. იტ),

## X

როცა სისხლის სამართალი ჯერ ისევ დაბლა ქლგას და შერასძიება კანონად მიაჩინათ, მაშინ სასჯელსაც განსაკუთრებული თვისება ატყევა. ეს თვისება იმაში შევომარეობს, რომ თითოეული დაზაშაულობა, წინადევა დაფასებული და ბრალდებული სჯუ-ლი თუ აღათი ავალებს ამა და-ამ ბოროტებაში ეს ფასი უნდა გადაიხა-დოთ. ამ სიცტემას კომპიუტიციას უწინ.

ლუბენ (compositio). კომპოზიციის  
აზრი კიდევ ისახ, რომ დაწარალებუ-  
ლი ხელს იღებს შერისძიებაზეც, თუ  
ჯეროვანს ფას მისცემენ, — თუ შეისყი-  
დი სისხლს, ხომ კარგი, არ შეისყი-  
დი-და, შერისძიება ხომ ჩემ ხელი  
არისო. მა შასალამე, კომპოზიცია შე-  
რისძიების შესჭადვაა. ეს სისტემა  
ცნობილია ძველი დღე ეკროპის წვრელ  
წოდებულია ბარბაროსულ სჯულ-მდე-  
ბლობაში და ენლაც კავშირის მთავ-  
რების სისხლის სამართლის საუკ-  
რელი შეადგენს „). მეგადის დეპატ,  
როგორც ძველი სჯულ-მდებლობა,  
რას კეირიერულია, კომპოზიციის სისტე-  
მას მისდევს. აქცე თითოეული დანა-  
შაულობა აღნუსხულია და ფას-და-  
დებული. თუ დამნაშავე ჰარალს არა  
პირაუს, ჯარიმას არ შეადაიშიის, მა-

(\*) კომპოზიციი იმდენან შეგ.. ძველმა  
ჯულიანულმა, ნეკი, Организацији уголовной  
юстиции, 1867 г. стр. 134—142, საღა  
მანენებულია რომელი დანაშაულითა დამ-  
დენი დარღვ.

შინ შურისძიებას მიჰმართავენ, მა-  
შინ სისხლი სისხლს თხოულობს. ჯა-  
რიმა კერძო საკუთრებაა, დაწა შაუ-  
ლობის ფასი, თეორია დაზარალებულს  
ან იმის ოჯახს ერგება, თითქო ბო-  
როტის ქმნა აღებ-მიცემობა და ხელ-  
შეკრულობა იყოს!

არ შეიძლება ითქვას, რომ ძეგლის  
კომპოზიციის სისტემა კრიული დართუ-  
ლი იყოს. არა, აქ ბევრი რამე სრუ-  
ლიად უყურადღებოდ არის დატოვე-  
ბული და სისხლის ნიხრს დიდი ნა-  
კლი ამჩნევია. ამ მხრივ წხოვიურთ  
შეზობლებს, მაგ. ჩადილოეთ კავკა-  
სიის ლანგებს, უფრო კრიული ნიხრი და  
კომპოზიცია მოეპოვებათ <sup>18)</sup>.

მოკელის შემდეგ, ძეგლი, რასაკეთ-  
ულია, უმთავრეს ყურადღებას აქცევს  
გერმანია (მძიმე ჭრილობას), განკითოებას,  
დაკუდას და სხ. სჯული აქაც საზო-  
გადო გზას ადგია: უველა ჭრილობა  
და ასოს გახერმოება; ან დაკოდა თა-

<sup>18)</sup> Адаты II, стр. 63—72 и т. д.

ნასწორი დანაშაულობა როდეთ. ეს  
იმპერია, რომ სხეულის ასოციაცია ერ-  
თი ასო უფრო საჭირო და ძნელად  
დასაკლისია, ეიდრე შეორე. ამისდა  
გვარად ზოგჯერ მეტი უნდა ჭადან-  
დეს დამწაშავეს და ზოგჯერ ნაკლე-  
ბიო. კრისტიანობისა და განერბრების  
დროს თითქო არც ესტეტიკური გრძნო-  
ბა დაფრიცყებიათ. შეიძლება ისეთს ად-  
გილას დაკადონ ვინმე, რომ სილა-  
მაწე დაჰყარვოს, დაღი დააჩნდეს, და-  
სახიჩრდეს. ვ. მ. ნ. შედარებით უფრო  
ბევრი ჯარიმაა დადებული.

ერმისა და დაკოლის ავ. ზნიანობაზეა  
დამოკიდებული, სწავლი უნდა დაეურ-  
ეოს დაზარალებულს, თუ მარტო არ-  
ზანგობა გარდახდეს. ძეგლი სისხლის  
დაურჩებას მართლოდ მაშინ თხოვე-  
ლობს, როცა ეისხეს მძიმედ დასჭრიან  
და დააშავებენ. თუ კი იქობა სუბუ-  
ქია, სასტაცია მაგისტრ დამწაშეეც არ-  
ზანგი უნდა გადაახდეოს და დასტაჭ-  
ია (ხირურგთა) წამლის ფასი. არზანგი,  
მარტო რაოდენობით კი არა, რაყინ-

ბითაც განიჩეულ სასწლისაგან, განსა-  
კუთხებული ჯარიმაა, რომელიც სი-  
სტლის პურიშვილი ნაწილს შეად-  
ვენს <sup>1)</sup>). საყურადღებოა, რომ რო-  
გორუ სისხლი, აგრეთვე არზანგიც სა-  
ერთო და სადაღუებულო ფორმულის  
მასშეც, «გვარისა ზღვა» სწარმოება.

გერმანიული ინუდეა, პირიდამ-მოს-  
დევა. პირიდამ უცხოუროდ არ შეიძლება

1) მეგლობ თქმით, ხვდოთ ხერთ 150  
აური აკეთ არზანგად დანიშვნული, ჰერცი-  
ვანს 30 (მეტ. ლ. ლ.); ხვდეს აური სის-  
ხლი ლარდა 6000 აური, ჰერცივანის  
1200 (მეტ. გ. ი). ამიტომ ვუკრისტო, რომ  
არზანგი სისხლის  $\frac{1}{10}$  შეადგინდა. აქ შევ-  
ნიშნავთ, რომ 3.64 დ. ბერნაძე სცდება გვა-  
რგვანის სისხლის გამოანგარიშება მა. ჰერ-  
ცივანის სისხლი ლარდა 200 დრამული,  
რომელიც = 1200 აურის (მეტ. ი). მაგალი-  
ზები, ერთი დრამან = 6 უორს, ათურ-  
გა ამინაც „что касается монеты драх-  
мы, то, по расчету статьи, она составляет  
шестую часть (?!), а по исчислению  
Брюса, двадцатую часть серебряника”.  
Сб. Зак. Вахт., стр. 86.

და ძეგლით პორის სადალე გერმში და ცხვრ-  
რის მოკრიას ერთად იხსენიებს; ერთიც  
და შეორეც სისხლის მეზუთედი ღირს.  
მაგრამ შეიძლება გერმში „სადალე“  
არ იყოს, კაცი არ დაშავებულ და არ  
დასახიჩრდეს. მა შინ სისხლის მაგრერად  
დამნაშავეს უნდა გადაეხადა ხამტა არ-  
ზანგი და დასტაქართა წიმლის ფასი  
(შუბ. ლბ). პირის „სადალე“ გერმში  
ძეელადეული ცნობილია ჩეენს სჯული  
მფებლობაში და, ძეგლს გარიდა, სხვა-  
განაც იხსენიება (ალბულა, შუბ. ე,  
რკე; ვასტანგის „სახიჩრდება“, შუბ. მც),  
თუმცა ჯარიმა-კი სხვა-და-სხვა იყო  
დადებული: რასაკვირველია, დაწო-  
რებით ნაკლებად ფასობდა ტანის  
სუბუქი გერმი, ანუ დაკოდილო-  
ბა. ჯერ ერთი, რომ ამ დაკოდილო-  
ბით კაცი არ დაშავდება, მეორედ —  
ტანის ფრისი ჰერანეს და სათაკილო  
არ არისო, ამიტომ თითო ასეთს და-  
კოდილობაში მცირე ჯარიმა უნდა  
გაეღოთ, — ერთი არზანგი და სადას-  
ტაქართ გარდასახალა (შუბ. ლც). ეს

ტანის მსუბუქი დაკოდილი გზაც მოხსენებულია აღმულას სამართალში, თაღაც „უჩინარი ადვილი“ უდრის მკვდარს «არა ჩნდეს ტანისამოსისავანს», მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აღმულა ფასს არა სდებს ამ დაფირულს. გერმანია და ამბობს, საპატიო კაცებმა გააჩინონ ჯარიმათ (მუხ. ბ, რკე).

პირზედ თვალები გვასრულდა და ჩევნოვის ორგვე თვალის სინათლე ერთმანიშვილი დეირფასია. ქეგლი მარჯვენა და მარცხენა თვალს თანასწორად აფასებს და ამბობს, რომ ერთის თვალის „წამოვეარდნისათვის“ სისხლის შეოთხედი მიეცით; ორის თვალით გამოთხრაში ერთი თრად, ე. მ. სისხლის ნახევარი, და გარდა ამისა და ტაქტის დანახარჯისა (მუხ. ლე. ლე). ერთს ადგილს აღმულაც თანხმაა ქეგლისა, თერმუა შეორენ აღვილას, ცოტა არ იყოს, ფასს უწევს, — ერთს თვალში სისხლის ნახევარი შეიცითა. უპტანგი ხომ უფრო სწორავს ცალკალკი თითო თვალს; ორი თვალი ერთად

სრული სისტემი დირსო, ცალკე-კი  
თითო თვალი სისხლის მესამედიო (აღ. მუხ. ვ, რკე. აღბულა იხსენიებს  
თვალის დაწყარი, რომელიც დიდ  
დანაშაულობას შეაფენდა — „სისხლ-  
სა ოცი ათასი სხვა ემატოსო“, მუხ.  
ანგ. ვახ. ხამ. მუხ. მდ, მე).

კბილებიც ჩომ საჭიროა, მაგრამ  
ზოგიერთ კბილს, პირდაპირ მო-  
ვალეობის გარდა, სხვა გვარი ლიკ-  
თეც მოაქვს, მაგ., პირს ავშევნებს,  
ამიტომ კბილები „საჩინონიც“ არიან  
და „უჩინარნიც“. ქადაგ სწორედ ასე  
ესტრეტიურად სჯის ამ ანატომიურს სა-  
განხედ. „საჩინო“ კბილი, სულ ერ-  
თია ზემოა, თუ ქვემო, ერთი თანად  
მეტი ლირს „უჩინარს“ კბილზედ, ასე  
რომ თითო თოსს «საჩინო» კბილში  
ირი არზანები გარდაიხდეთ, „უჩინა-  
რის“ კბილის ჩაყრევინებისათვის კუ-  
ერთი არზანგით (ძუხ. ლით, მ). აღ-  
ბულას სამართალი თუმცა ესტრეტიურ  
თეორიის მისდევს, მაგრამ წინა და-  
უკანა კბილს თანასწორად აღიასებს.

წინა კბილის ჩაყრევინება სახიჩარია, უკანასი კიდევ კამას დააკლებსო. ამი-  
ტომ ყველა კბილის თანასწორი ჯა-  
რიშა დაუდო — თითის ფასი, ანუ სი-  
სხლის მენეთედი (მუხ. თ). სხვა აჭ-  
გილის ივიე, სამართალი უარ ჰყოფს  
კბილების თანასწორობას და წინა  
კბილის ესარჩლება, იმის ჩაგდებინება  
ნახევარი სისხლი ლირს, უკანასი-კი  
მენეთედით (მუხ. რმგ, რმდ). მაგ-  
რამ რადა? საქმე იმაშია, რომ აღმუ-  
ლას სამართალი ორ ნაწილად იყოფა.  
ერთი ეკუთხნის ბექა II, ხოლო მე-  
ორე აღმულას, რამცა სამართალს-კი  
აღმულას სახელი ჰქოიან, ). ბექამ გა  
აღმულაშ სხვა-და-სხვა ნაირად ანუსხეს

ასე სულ პ. ნ. დ. ბექამ, რომელიც  
საუკეთესოდ უჩვენებს, სად თავდება ბე-  
ქას სამართალი და საიდამ იწყება აღმულა-  
ხო, ცხ. ვახტ., ცტр. 95, I ცრიმინა-  
ცია; 140, ცრიმი. ვ. ჩვენის აზრით, უკ-  
აღმულას სამართალში ხშირად წინააღმდე-  
ბობაა, იმით ა. ხსნება, რომ აღმულაშ, დროთა  
და უამთა ვერარების გამო, სამართლის  
შეგ-ზოგი მენეთი შესცვალა.

სისხლი და სწორედ იმ შინებზესაგან  
წარმოდგა, რომ ქმრლების ჯარიმა  
ხა5 შეტია და ხან ნაკლები. ერთან-  
გის სამართალი უელა კბილს თა-  
ნასწორად აფასებს — „წინა სახისრალ  
დარჩების, უკანა ჭამაში დაკლდები-  
სო“ (მუხ. მ8), თითქო წინას-კი ნაკ-  
ლები ჯაფა ადგეს ჭამის დროს!..

ახლა ასთებზედ ვისაუბროთ. ტანა  
ხელები აბია. ქეცდე უყურადლებოდ  
არც ამიათ სტოების, თუმცა-კი მარტო  
მარჯვენა ხელს იქნიებს, თითქო  
მარცხენა სიენებათაც არა დირდეს.  
თუ ვისმეს მარჯვენა ხელი მოჰკვეთებს,  
ან დაუშავეს, მესამედი სისხლით უნ-  
და მისცენა (მუხ. ლ8), მაგრავ ანა-  
ლოგით შევვიძლიან დაეასკენათ, რომ  
მარტო მარჯვენას უდინდა.  
აი შადა. ქეცდი ამბობს, რომ კაცი  
თუ კაცი ცის, «ლაუოჩა», მაჯვე-  
ნის ხელის სასხლი დაეურვოს (მუხ.  
ლ8). „ლაუოჩა“, როგორც ვიცით,  
კაცია ხელს მარჯვენას ჰქმიტებს  
მაშახალამე, ხელ-ჭრის კაცის მარ-

ცხენა ხელსაც მარჯვენის ხელის ფასი  
უნდა ჰქონოდა. ეს აზრი მით უფრო  
საშუალიანია, რომ საზოგადოდ ჩეცნი  
ძევლი საშართალი ხელების თანასწო-  
რობას არ უარ-ჰყოფს და მათ შორის  
არაფერს განსხვავებას არა ჰპოვებს  
(ალ. მუხ. ვ, რუკ. ვახტ. სამ. მუხ. შე).  
რასაკვირველია, ორივე ხელის მოკეთა  
ან დაშავება მძიმე დანაშაულობაა და  
ამისდა გვარიად ქეგლიც დღის ჯარი-  
მას აწესებს, ნახევარ სისხლსა და და-  
სტაქართა წამლის ფასს (მუხ. ლე).

ხელზედ ფეხი უფრო ნაკლები ღირს,  
ასე რომ ფეხის მოკეთასა და დაშა-  
ვებაშა სისხლის მეოთხედია გაჩენილი  
(მუხ. ლე). მაგრამ თუმცა ჩეგლი ფე-  
ხებსა ხიავრავს, აღბუღა და ვანტან-  
გი-კი ჰქომავობენ და გადაჭრით ამ-  
ბობენ—ხელი და ფეხი სწორნი არი-  
ან და სისხლიც სწორიად უნდა მიე-  
ცეთო (ალ. მუხ. ვ, რუკ. ვახტ. მუხ.  
შდ, შე). ძევლი ამ თანასწორობას  
შხოლოდ მაშინ თანაუგრძნობს, რო-  
ცა ეისმეს ორ ასოს წყვილად მო-

ჰკუეთენ და ლაუშეევენ — „ორი ასო  
ერთგან წაუხდესო“, მაგ. ორი ფეხი  
ერთად და სხ. თითოეულს წყვილ  
ასუში სისხლის ნახევარი უნდა ეჭ-  
ლოს დაშარალებულს, სულ ერთია  
წყვილს ფეხს „წაუხდენენ“, თუ წყვილის  
ხელსაო. სისხლს გარდა, გულჭევს  
დამნაშევეს დასტაქრის წამლის ფასიც  
უნდა გაეღო (მუჩ. ლვ).

არც თითებია ლავიწყებული, თუ  
მცა ძეგლს მარტო ხელის თითები მო-  
ჰკონებია და ფეხებისა-კი უცურადლე-  
ბოდ გაუშეია. მაინც ძეგლი უეხებს  
არა სწავალობს! თქეენც მოვებსენე-  
ბათ, რომ თითებში ცერი ყელაზედ  
უფროისი და პატივულებულია. ამიტომ  
ფასიც შედარებით შეტი ადევს, ხე-  
ლის ნახევარი უნდა მოეცესო. სხეა  
თითები ერთი ერთბარეთზედ შეტნი, არ  
არიან და ჯარიმაც თანასწორად ერ-  
გებათ, ხელის შესამედი, სულ ერთია  
მარჯვენა თითი იქნება, თუ მარცხე-  
ნაო (d.-დ. მუჩ. ლზ) აა.

XI

როცა ერსია და საზოგადოების  
აზრი ისე დაბლა სდგას, რომ შერჩეს  
ძიება სჯულ-მდებლობის საფუძველს  
შეაღენს, მაშინ სამართლის წარმო-  
ებაც უფრო კერძო კაცის საქმე და  
მოვალეობაა, ედრე სახელმწიფოს  
„მოსაქმე კაცი“ — მოჩივარი თითონ  
ტერიტორიას თავისი უფლება დაი-  
ცვას: საჩაურის დაწყობა ანუ დავა,  
ბჰედების დასმა, მოწმების შოენა, გა-  
ნაჩენის აღსრულება და სხ. „მოსაქმე  
კაცზეა“ დამოკიდებული. სახელმწი-  
ო

შორებით უცრო სასტურა ქრისტიანების საა-  
მართოლზედ, მოკედლისა და დაშავებისათვის  
დამნაშავეს პოტელავენ და დაშავენ, რო-  
გორც შან სახვა დაშავდა (კრის, ვივე-  
დე), თუ არა-და, ჯარიმას გარდახდევინებენ.  
(დიკტა, რომელიც, ას აქტებს გარდა,  
უულადაც უნდა შეეცეს). ასთვის გახელიერება,  
ქრისტობა და სახვა დაუახებელია და უურ-  
ნი ამხობს, რა დაიშაველონამ რამდენი გო-  
გტა უნდა შეეცეს დაზარდებულისათვის, რა-  
სავარაველია, აქაც კომპლიკის სისტემა,  
ფაქტ დება ბერგъ, стр. 129—136;

ფრს თითქმის სულ არა ეკითხების-რა და  
თუ ეკათხების რამე, ისიც მეტად ცატა.  
ასეთს გზას აღვინა საზოგადოდ უკულა  
ძეელი სამართალი <sup>57)</sup>, მას მისდევს  
ძეგლის დებაც. აქ, ამ ძეგლში, თუმცა  
მოხელეებს სჯული და კანონი აბა-  
რიათ, მაგრამ სამართლის წარმოება  
ჯერ ისევ კერძო კაცის ტეირთია, იმის  
თაოსნობაზეა დამყარებული. ცხადად  
სჩანს, რომ სახელმწიფოს ჯეროვანი  
გაუყვენა ერთ მოუპატებია, მაგრელე  
ძძულ გბულა დადგინდეს, როცა შე-  
რისძიება და თეირ-ნებლობა გატა-  
ნობს და ბრძანებლობს... მეორე თვი-  
სებაც ცხადად ამჩნევია ძეგლის სამარ-  
თლის წარმოებას. ეს თვისება თით-  
ქმის ყველა ძველის სჯულ-მდებლო-

<sup>57)</sup> სხვათა შორის, ოცთ რომალების უქვე-  
ლების სჯელიც. ძეგლ ურანგებაც სამარ-  
თლის წარმოება ეკრძა კაცის საქმედ მა-  
ჩნდათ, საზოგადოება და სახელმწიფო არ-  
ჭირ შეამა, დაზარალებელისა და მის  
უზახის გაღია სამართალი ეძოხი, ცხოვ,

стр. 143—146.

ბის კუთვნილებას შეადგინს და ნე-  
შნობლივ გამოიჩატება მით, რომ სა-  
ხელმწიფო და კერძო კაცი თითქმ  
იბრძვიანო სამართლის მოქალაზედ.  
სახელმწიფო პლამის თითონ დაისა-  
კუთროს თემიდას სასწორი. კერძო  
კაცი-კი ამის წინააღმდეგია და უკელა  
ლონისძიებას ხმარობს ცილი და ჯი-  
ბრი გაუწიოს ხახელმწიფოს, — სამარ-  
თლის წარმოება ჩემი საქმეა და შენ  
აკ ხელი არა გაქვსო. დიალ, ასეთი  
ბრძოლა ჯერ იხვევ სუჟექტს ძაგლში და  
რაღვანაც ქიშილბა არ გათავებულა,  
თვით სამართლის წარმოებაც არეულ-  
დარეული და მოუწყობელია <sup>18)</sup>). შე-

<sup>18)</sup>) Сб. Зак. Вахт., стр. 83, სხვადას, აკ დ. ზ. ბაქრაძე საფუძვლიანად დასკენს, რომ ეგვიპტის დემოს სუდი სხვა ხასახათი აქვს, გადრე ვანტანგის სამართლებათ. ეს ორი სჯელ-მდებლობა, სხვათ შეინის, იმით განიჩევა, რომ ეგვიპტი ში შერისძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს და თვით სამარ-  
თლის წარმოება, კრიცეცხა-ი სახელმწიფოს უცილობელი საქმე არაა. განტანგის სხვუ-

მდევში სახულ-მწიულის რჩება გამარჯვება და ამიტომ წელ-წელა ჰქონისძიება და ბოლო ელება კერძო კაცის თეით-ნებლობას

ერთის მხრით, მოხელენი—ერთის-თავი, გამგებელი და ხევის ბეჭი თი-თქო დარაჯუბენ სამართლის სასწორის და თვალ-ყურს აღევნებენ ეს სასწო-რი მრუდედ აქეთ-იქით არ გადაინა-როსო, მეორეს მხრით, მოსაქმე კაცი სურას სამართალი იმის ნებისა და სურვილისამებრ სწარმოებდეს. ხახელ-მწიფო ხუდოლობს სამართლის საქმე წესიერად მოაწყოს, სჯული და კანო-ნი დაისაფუთროს, მოსაქმე კაცი-კი ამის წინააღმდეგია და უმეტესად შურის-ძაებას მისდევს. ბრძოლა ჯერ არ გა-თავებულა, თუმცა ცხადია, რომ შუ-რისძიებას ფრთხები მკეცება. სწო-რედ ასეთს სურათს წარმოადგენს

---

დას შეხედულობით-კი სამართალი სახულ-მწიულის ეპიზოდის. ეს, რაცა უგირესელია, წარ-მატებასა და წინმსედლელობას ამტკიცებს.

ქეგლის სამართლის წარმოება (про-  
цессა), ახეთი ხასიათი ატყებია ჩეენს მეო-  
რე უძველესს სჯულ-მდებლობასაცა).

მოსაქმე კაცის უნდა დაეწყო ხეჩივა-  
რის და დავა, სუს ერთია შეეხებოდა  
იგი სისხლის სამართალის, თუ სამო-  
ქალაქოს. უკეთე მოპასუხე „სასა-  
მართლოდ“ არ გვეიდოდა, მოსაქმე  
კაცი გამგზებული აქციაში და ეს  
უკანასკნელი კიდევ კრისთავს. მაშინ  
„ორჯებული - სამკურა“ გამოიწვევდნენ.  
მაგრამ შეიძლება მოპასუხე არც ერთის-  
თავისა და გამგებულის გამოწვევას და-  
თანხმებულიყო. რასაკვირეელია, მა-  
წმებს უნდა ეთქვათ: გამოიწვიოს და  
შაინკ არ გამოვიდათ. აი სწორედ მა-  
შინ მოჩინარს სრული ნება ჰქონდა  
შეკრი ეძაა და ძალი ესძირა. ასეც იქ-

<sup>(14)</sup>) სახელმისა და სამართალის,  
სადაც ავათ დაიღვული შერისმებას  
მასდევილნებ და მათ მიაჩნდათ სამარ-  
თლის ხაფუძვლად, მეს. 1. აქცი სჩინს, რომ  
ვატრიონი დაუჭიდა და მაწურებლი ეწინააღ-  
მდეგებიან შერისმებას...

ცეოდა. მაშინ უკელაფები იმაზე იყო  
დამოკიდებული. მისი ძალა და ენერ-  
გია, მძრღვარი გრძის თქმა და ვნე-  
ბათა დელფა — აი რა ბჭიობდა და ასა-  
მართლებდა დანაშაულობას!.. დასხმა  
(თავს დაცემა და დარპევა) შეაღვენ-  
და ერთად ერთს ლონისძიებას, რო-  
მელსაც მიშართავდა ხოლმე მოსაქმე  
კაცი. რასაკურარველია, დასხმა სჯულს  
კანონიერ მოვლენად მიაჩნდა და აშის-  
თვის ძეგლი ამბობს — „დასხმა გაცუ-  
ლდებისო“<sup>60)</sup>... რაკი აი იყო, — „სი-

<sup>60)</sup> პეტლის „დასხმა“ შიაგავს გვრედ  
წოდებულს პარამტას, რომელიც ჩვენს  
მეზობელ მთის ხალხის ადამია. პარამტა  
იმას ჰქვიან, როცა დაზარალებულს, „მოხა-  
ტე კაცს“ ნება აქვს თავს დაესხას მოპასუ-  
ხეს, ან მის ნათებავს და ხოულებულს და  
ნაპარევი, ძალით იშლოს, წაართვას. პარამ-  
ტა 3-რველად იხსენიება როსტომ ხანის კიკ-  
შელში, რომელიც უდიდენილი XII საუკ-  
დალებაში დაგენისათვის. Алаты, 1,  
18—19. პარამტას სხვა დასხვა მნი-  
უნელობა აქვს და ისეთიც, როგორიც აკ-  
ვლის „დასხმას“, ibid. стр. 366.

სხლი და გერში ორთავე სწორება, ზედა დამსხმელისა და „შინა მყოფუ-საო“, ე. ი. დასხმა იურიდიულად თი-თქო არც-კი არსებობს და ორსავე მჩარებს სისხლი თანასწორად სდი-დათ „გერსა ზედა“, თუმცა მოსაქმე კაცი თავს ესხმოდა მოპასუხეს და ეს უკანასკნელი მხოლოდ იგერებდა მტე-რსა!..

მხოლოდ ერთს შემთხვევეა შე სახელ-მწიფო ინენდა ძალას. ეს მაშინ, რო-ცა ვანპე დაესხმოდა ისეთს კაცს, რო-მელიც „საქმესა დარბაზისასა იმიშე-ზებს“: მეტისა და ტახტის სამსახური დასა არ მაძლევს „სასამართლოდ“ გამოგყეო. მაშინ დამსხმელი და იმისი მომხრენი თუნდაც მოეკლათ, არაფე-რი, — „სისხლი არ არის, რა ზომიცა მოკლეს, ყელა გაცუდდების“ (მუხ. კო). „დარბაზის საქმის“ გამო თეთ შურისძიებაც „ცუდდებოდა“ და და-სხმას დანაშაულითად სთვლილენ. „დარბაზის საქმის“ კაცი-კი და, ასე გასინჯეთ, ყველა იმის სოფულელს, რო-

მელისაც დასხმაში მოჰყენებული მოვალეობის, ხის-  
ხლი სდიოდათ და დამსხმევი ვალ-  
დებული იყო „უკელა დაიურივოს თა-  
ვის გვარსა ზედა“ (იქვე).

## XII

ეგრედ წოდებული სამეცნიერო საქ-  
მე \*) მთლაც დაფუძნებულია შურის-  
მიებაზედ. ეს მით უფრო საკურადღე-  
ბოა, რომ როგორც ესლა, ისე ძვე-  
ლად მეკობრობა საქებარი და სავაკ-  
კაცო საქმე იყო, მეკობარს დაზღვ-  
როდნენ, ლექსით ამკობდნენ და). ჩვე-  
ულებისამებრ, პატრინი შეჰყრიდა  
მდევარს და მეკობრებს ვამოუდგებო-  
და. მეკობრებიც შემოებმოდინენ პატ-  
რინსა და იმის მდევრებს („უკან წა-

\*) მეკობრე — მტრიცაზელი, ს. ს. ორბეგლია-  
ნი. დეგლ უ. მეკობრე ქურდიაც. ჰევ. ან.  
ზაგ., ცხენის, ცხვრ. ს, ქრისტ. ს მომცარავი  
მეკობრად :რ ს წოდებული. მუხ. ვდ.

\*\*) ქურდია ჩვენს შეზობელ მოილებებსაც.  
საქებაზე საკენე ჰელინიათ, მეტრიცა თუ გ-ნ-  
მეზ გაქერდა სახა სოფლისა და გვარის კ-  
ცი, ადამი, I, ლერ. 16—18.

ლდპნენ და მიერიცნენ, მეკობრები შე-  
მოეახენ ) და შებმის დროს შეიძლე.  
ბოდა მეკობრები მოეკლათ. მოკელას  
უსისხლოდ უნდა გაეარა, — „სისხლი  
გაცუდდეს ყელასი“ <sup>62)</sup>). ზაგრამ ეს  
კიდევ არაუკრის. შესანიშნავი უურო  
რეა, რომ «საქონლის პატრინისა-  
ოვის» უნდა დაეცრებათ, მიეცათ მო-  
თვეე ქურლი («თავალი») და ორი კი-  
დევ სხვა, — სულ სამხა ქურლი.

რას ნიშნავს ეს «ერთი თვით იგი  
თავალი დაიურებან და ორი ხევა თავი-  
თური?»,

რომაელების პირვანდელი, უძვე-  
ლესი სჯული ამბობდა, რომ პატ-  
რონს უფლება აქვს, თუ ქუჩდმა ძ-  
ლადობა გაუწია, მოჰკლასო იგი,

<sup>62)</sup> მავმადიანთა სახელ-ც ნებას აძლევს  
პატრინს ქერქი შეკლას, როცა კურდობა-  
ზედ მოაწერებს, ჭანს დობა ბერგზ ცტ.,  
132. გარბაროსული სახელებია დაწესებული  
ქუჩლობესათვის. ქერქის ხელ-ფეხს მოხქონან  
და მოქრიდ ასოებს მდედარე ერთოში ჩაუ-  
ყოჩენ სახელი ვესწუდესო, იბ., ცტ., 139.

და თუ სურა, ქურდა მონად გა ხა-  
დასო. ქაგლიც აწესებს, რომ თაქონ-  
ლის პატრიონს შებმის დროს შეცდ-  
ლიან მოკლას მეკობარით. მავრავ  
მარტო მოკვლით ხომ არა გამოეი-  
ღოდა-რა; მაგრევს ერთი სამაც გარ-  
დახდა უნდოდა და გარდასახადი უფ-  
რო მეტად ულიოდა პატრიონს, ეის-  
რე მეკობრის მოკვლა. ჩეცნის აზრით,  
სწორებ ნაპარევის საჭლვევრად უნ-  
და წაეყენა დაზარალებულს „ერთი  
თვით ივი თავეადი და ორი სხვა“<sup>1)</sup>. მე-  
კობრები უნდა დაზენილოყენენ პატ-  
რიონთან, ვიდრე ერთი სამაც ნაპა-  
რევს უზღავდნენ. ასეთი ჩეცულება ეხ-  
ლაც დაზენილია მთიულებში, მაგ.,  
ყაბარდოში <sup>2)</sup>). შეცდლებელი ქურდი  
საქონლის პატრიონის მონა შეიქმნა  
შემდევ და ისიც ვარტანგ VI წევალო-  
ბით, რომელ მაც დაწესა, რომ პატ-  
რიონს „თუ ვერ აუეიდეს, ქურდი თა-  
ვისი ცოლ-შეიღით, საქონლით და

<sup>1)</sup>) Адаты, I, стр. 253, § 105.

ნასყიდით მოეცესო” (მუხ. 45). ეს კად თავის თავის შიცემა ლოგიკური შედეგი იყო იმ დიდის ჯარიმისა, რომელიც სჯულ-მდებელ მა ქურდს ჭაუჩინა, სისხლის ნახევარი და შეიძლეულ ნაპარევის ვარდახდა. მაგრამ ჰყბლი ამ მხრივ ქურდს ჰქომავობს.

შეიძლებოდა, შებმის დროს თითონ მექობრებს ვთენებათ პატრონი, ან არა-და, იმის მოახლე (მდევარი). მაშინ? — „რაზომიცა მოკედნენ, სისხლი სრული დაუურვონ და ნაპარევი... ერთი, თუ რაც წახდებოდეს, ლრო სხვა“ (d.-დ., მუხ. მდ).

ისეც მოხდებოდა, რომ შეკობარი მოპარებს შემდეგ — „უკანის“ აღმიაჩენილიყო. რა უნდა ექნა საქონლის პატრონს? — რასაკენარეველია, მაშინაც ჭამართალი პარეელ ად პატრონს უნდა ეძია, საქმე იმას უნდა დაეწყო. • ქეყუანა იყოს მექობრე, თუ ერთი კაცი, პატრონი მოვიდოდა და გამოუცხადებდა — ნაპარევი ერთი სამად მიზდევოთ. მაგრამ თუ არ უჩლავ-

დნენ? — პატრიონს უნდა მიემართა ხე-  
ვის ბერისა და გამკებლისათვის, იმათ-  
თვის უნდა ეცნობებინა გარემოება-  
რადგანაც ხევის ბერისა და გამკებელს  
სამართალი ეყოსხოდათ, ამიტომ თრი-  
ცი ეალდებულნი იყვნენ მეკობარს  
«უთხრან და დაუურჩებინონ»... შეი-  
ძლებოდა იმათ ვერა გაეწყოთ რა,  
მეკობარს თხოვნა და ბრძანება არ  
შეესრულებინა. მაშინ ერისთავთან  
იჩივლებდა პატრიარქი („სადა აწლოს  
ერისთავი იყოს, იმასაც აცნობოს“)  
და თუ ერისთავიც უერას გახდებო-  
და, საქმე შერისძიებაზე უნდა მი-  
უარდნოდეს. აი სწორედ მაშინ დასხ-  
მა იყო ერთად-ერთი უფლება და კა-  
ნონი. მაშინ საქონლის პატრიონს  
დამსხმელი არა ჰქონან“ და რამდე-  
ნი მეკობარ თუ ასაბია მიჰყელის,  
„სისხლი არ ეხლევენის მათი“ (მუხ. მე)-  
„როგორც სჩანს, სამართლის წარ-  
მოდება მოსაჭერ კაცისა და საქონლის  
პატრიონის თაოსნობაზე იყა. დამო-  
კიდებული და იყი თაოსნობა შეად-

უენდა სამართლის დახატვისსა და და-  
სასრულოს. ერისთავი, გამგებელი და  
ხევის ბერნი მხლულ ხსოველნერი,  
მოპასუხეს, სხვა ძალა ხელთ არ ეპუ-  
რათ, და ეს გარემოება ცხადად ამტკი-  
ცებს, რომ ძეველად სამართალს ჰქმნი-  
და მარტო კერძო კაცის ენერგია. ექ-  
ლაც ასეა ზოგიერთ ადგილას მთა-  
ში.

სამეცნიერო საქმეში ასაბია იხსენიე-  
ბა. რა იყო და ვინ იყო ასაბია, რას  
ნიშნავდა ასაბიათა? — საჭიროა პრეცე-  
ლაციე დავსძინოთ, რომ ასაბია შეცდო-  
მით მიაჩიათ ქართულ სიტუაც და  
ჰვონიათ ვითომ ერლა იყო ხმარებაში  
არ იყოს <sup>(\*)</sup>). ასაბიაობა (ასაბია — თანა-

<sup>(\*)</sup> „Слово это тоже старое, пишь не  
иаქ'ствое“ (?), Сб. Зак. Вахт., стр. 93,  
დ. ბაქ'აძის შენიშვნა. მაგრამ ასაბია შა-  
ჰვალიანის ხელი - მდებლობის ტერმინი.  
Асабатъ, асабаинъ, асабионъ სէკъ-დз-სէვ  
ნარъ, და სახედადოდ შემკვიდრებას ნი-  
შნავს, Фанъ де Пъ Бергъ, стр. 97. ჩერნ  
უშელ-მდებლობაში ასაბიათა გადასხვავე-

მოზიარე, იოუგაოგიკъ) განსაკუთ-  
ხებულს იურიდიულს მოვლენას წარ-  
მოადგენდა და მეკობრობასთან კავ-  
შირი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ რაკი  
მეკობრობა სავაჭყალო საქმე იყო, კეთ-  
ლა მარჯვე და სახელმავალს მეკობრის  
რაცდენიმე ასაზია გამოუჩინდებოდა და  
ხშარიდ შთელი ცუნდი ვაჭყაცებისა-  
მეკობრობდა. მეგადი პირდაპირ მოხ-  
სენებულია, რომ მეკობრი პირობი-  
თაც შეიკვრის ასაბიასაო, — „თუ მათ  
შეუ ამისი პირი იდვას, რომ ერთმა-  
ნეთის ახაბიანი იყენენ“... რამდენიმე  
ვაჭყაცი პირობას ღასდებდა სამე-  
კობრობდ და ნაშევარს — „სანიეროს“  
გაიყოფინენ ხოლ მე ერთმანეთში. ნა-  
ერთ ლექსებიდამ სიანს, რომ შთაში  
მეკობრობას, რომელსაც დაშერობასაც  
უწოდებენ, თუმთ „ჯეარი“, «ხატი».

---

კეხელა და პირველები მნაშვნელოვა და-  
უკარგავს. ეს სიტუაცია აღხულას სამართალში  
ძუსულად სწორედ არის ნათარგმნი — „იო-  
ინი ინი ინი“ („ინი ინი ინი“), სტრ. 16. დეგლის რუსული  
„сотовариишъ“ იურიდულად არ იხშარება.

ბერებლა და შეუკუეთლა ხოლმე ვაკ-  
კაცებსა. მაშასალაშე, მეკობრიობას რე-  
ლიგიურით შეიმუშავდა პეტლა...  
რაში მდგომარეობლა ასაბიაობის იუ-  
რილიული თეოსება?

მეკობარით და ასაბია თანასწორნი არიან,  
ერთ ნაირად პასუხის გამცემნი, ერთის  
ბედისანი. როგორც მეკობარს სისხ-  
ლი არა ხდიოდა, იმის მოკულაში არ  
იყო ჯარიმა ვაჩენილი, ისე ასაბიასაც  
არა ერგებოდა-რა: „არც სისხლი და-  
ეურეოს და არც გერმი მოეციო“...  
ეს მაშინ, როცა „შესწორებული სა-  
ქმე არის“, როცა ჰირობა არ ებობს  
მეკობარსა და ასაბიას შორის. მაგ-  
რამ შეიძლებოდა იგი ჰირობა ვაუქ-  
მებულიყო და, ძეგლის თქმით, „მე-  
ასაბენი ვაურილიყენენ, მოყვარენი  
აღარ ყოფილიყენ“ . მაშინ? — ასაბიას  
მდგომარეობა ვაშოიცელებოდა და  
თუ მოჰკულაედნენ, „ასაბიეთ წამ-  
ჭეანელს“ სისხლი უნდა დაეურეა მო-  
კლულის ასაბიას „სისხლის კაცია-  
თვის“ ე. ი. იმის ნათესავებისათვის.

აქაც სისხლი „გვარსა ზედა“ უწევდა-  
ბოდა. „ასაბიეთ წამყვანელს“ მხო-  
ლოდ „სანიეთი დკან“ უნდა გარდა-  
ქნადა სისხლი და თუ იგი „სანიეთო“ —  
ნაქურდი და ნაძარტკი საქონელი — არ  
მოეპოვებოდა, მაშინ არც სისხლი  
„ესააბიოს“ ... მაგრამ ერთი ჩამე იყო  
საჭარო, ასაბიას ნათესავებს ნადავ-  
ლევიდგან სისხლი რომ მიეღოთ: ეს  
ის, რომ მოთავე მექობრის ანუ „ასა-  
ბიეთ წამყვანელის“ ნათესავი პირვე-  
ლად არ მოეკლათ „რბევის“ დროს.  
თუ მოჟკლავდნენ, ეს ზარალიც საჭ-  
მარი იყო წამყვანელისათვის და, რა-  
საკეირეელია, „სანიეთო“ მოლად იმას  
რჩებოდა. ამ გვარად, მექობრე საჭ-  
მის სული და გული და პასუნიც იმან.  
უნდა აგოს ასაბიას. ასეთის აზრისაა.  
ასაბიაობაზე ალბულას სამართალიც  
(მუხ. ივ).

მთაში ეხლაც ჩეეულებრივი აშა-  
ვია ლაშქრობა და შულლი. ბევრჯელ  
ერთი იემი მეორეს მტრობს და ამის

გამო შეტაკება ჩნდება, სისხლი უწყა-  
ლოდ იღერება. ხშირად რამდენიმე  
გვარი ერთურითს ებრას, არბეეს და ეს  
ლაშქრობა ნამდეილს ომიანობას მია-  
გავს. ძეელ დროს, რასაცარელია,  
ლაშქრობას უფრო მიღევდნენ. ამ  
საზარელს მოვლენას ჯულ-შდებელ-  
შა ყურადღება მიაქცია და რადგანაც  
ჩეეულების ძირიანად ალმოფტერა არ  
შეიძლებოდა, ის მაინც დააწესა, რომ  
სალაშქრო მოედანი მცირე უოფილო-  
კო. ამისათვის საჭირო იყო პირ-აქტ  
და პირ-იქით შაიულნი განცალკევ-  
ბულიყენენ და ძეგლიც მხოლოდ იმას ამ-  
ჰობს, რომ ამიერნი და იმიერნი ხე-  
ვის - ბერნი და პაეროვანნი - „ნუ  
მთულებებიან ნურცა რა სალაშქროდ,  
ნურცა რა სასაურყოდ ისაქმებენ ერთ-  
მანეთთანაო“ (პ-დ., მუხ. მგ.) რა-  
ტომ? — მიწენი ცხადია: „მიღვომა“  
მიშეველებას წიშნავდა და მიშეველება  
კადეც მოელ არავისა და ქსნის არე-  
მარეს ლაშქრობისა და შულლის ვე-  
ლად გარდააქციერდა ხოლმე. მეტადრე

სევის-ბერნი და ჰაეროვანი ხული უწყობდნენ შემძინა და შეტაკებას, რომელიც, მთაულის აზრით, მაინც სავაჭრაც საჭმეა. ძეგლმა სასტიკად აკრძალა ეს სამამაც ვაჭვიშიბა და დამზადეს „დაზღაპრით მამული წაედოს და ციხე დაექციოს“.. მაგრამ დასცრა შფოთი და მოუსვენარი ბუნება ლალის მთაულისა?!

ლასასრულ ორიოდე სიტყვაც ვალის საქმეშედ. მაინც ძეგლის დება ამ ეალის საქმით თავდება. თეორიულად ძეგლი უარ-ჟუოფს სარგებელს, იგი უწესობა, — „არც ქართველთ რჯულთა სხეობად რომ აღლონ და არც სხეათა რჯულთა უწერიათო“ (პეტ. მე). საზოგადოდ ქართული სჯულთდებლობა არ თანაუგრძნობს სარგებლის აღებას, და ყოველთვის სულილობს მოვალეს შელაერა მიეცეს, ასე აწესებს აღმულა, ამას ბრძანების თვით ეახტანგო. მაგრამ ცოვრება თავისათვის არ იშლავდა და მკაცრმა

საჭიროებაშ სძლია უჯულ-მდებელთა  
კაცი მოყეარეობა. ენაც ძეგლი ასტ-  
და „სიავით“ ხდება საზოგადოებას  
და, რასაკეირდება. დააღვიშა, რომ...  
„თუ მიძუები კაცი აერ იყოს, სარვე-  
ბელი აიღოს ათსა თეთრისა ზედა ორი  
თეთრი რაზომი დადო ჩანი და-  
ეყოსთ“... აუს თეთრზე ორი თე-  
თრი, რამდენი ხანიც უნდა გემართოს  
ვალი, — ეს კადევ დადი წყალობაა,  
თუ მეზადრე მიძუები აერ“ კაცია...  
ეგრეთ წოდებული ვაპშა ( $^{0}/_{0}$ ) არაა  
მოხვეუბული ძეგლში და ალბათ ივი-  
ტომ, რომ ქართული უჯულ-მდებ-  
ლობა სულ პირებისადვე სლენიდა  
ვახშა.

ჩენ არ ვაცით, სახელდობრ რო-  
მელ რჯულზედ ამბობს ძეგლი: „სარ-  
ვებელი არც სხეათა რჯულთა უწე-  
რიათან“... მხოლოდ ის კი ცხადია,  
რომ მაპვალიანთა რჯულს არ უწერია  
სარვებელი. ამ რჯულმა მოწყალე-  
ბის გაცემა სავალდებულია საქმედ  
ჭანდა და საკუთარი ხარიაჯა დაწესა

გლოხაკთა და შეუძლებელ მოვალეობა-  
თვის <sup>65</sup>). რასაკურველია, სარგებე-  
ლი უნდა მოსპობილიყო. მოსპეს კი-  
დეც და დიდ-ცოდვადაც აღიარეს.  
იქნება მეგდის მაჲმალიანთა რჯულიცა  
აქვს მაგალითად, რაღანაც იმ დროს  
მონგოლებს გაელენა ჰქონდათ ქარ-  
თველებზედ, რომლებსაც იმათი რჯუ-  
ლი და ყოფა-ცხოვრება უნდა სულ-  
ნოდათ...

---

<sup>65</sup>) Фанъ день Бергъ, стр. 34—39,  
52, 66, 71.

34

543

యుసు బ్రాహ్మణ పాశురం.